# საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 1 (21) | სამშაბათი, 1 იანვარი, 1991 | ფასი 10 კაპიკი


## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ზვიად გამსახურდიას საახალწლო მიმართვა ტელევიზიით



გამარჯობათ, მეგობრებო!

ჩემი დღევანდელი მიმართვა თქვენდამი არ იქნება ტრადიციული საახალწლო მიმართვა, ზოგადი საუბრები პატრიოტიზმზე, კეთილი სურვილები მხოლოდ, ზოგადი მოწოდებები, არამედ ეს იქნება ერთგვარი ანგარიში ერის წინაშე. მე ვალდებული ვარ, ჩავაბარო ანგარიში ჩვენს ერს, რომელმაც მხარი დაგვიჭირა არჩევნებში, რომელმაც მხარი დაუჭირა ჩვენს მოძრაობას და რომელმაც ისურვა, რომ ჩვენ ვყოფილიყავით ხელისუფლების სათავეში. ეს არ იქნება ისეთი მიმართვა, როგორიც ჩვეიათ ბედნიერი ქვეყნების პრეზიდენტებს. ეს იქნება მიმართვა უფრო გამომდინარე საქართველოს დღევანდელი, რეალური პოლიტიკური ვითარებიდან. მე მსურს აგრეთვე პასუხი გავცე მრავალი თქვენგანის შეკითხვას. მე ვიცი, რომ ჩვენს ხალხს, ჩვენს ერს აღელვებს მრავალი საკითხი, სურს გარკვევა მრავალი საკითხისა, რომელსაც ჩვენ შეძლებისდაგვარად, მართალია, ვაშუქებთ პრესაში, გამოსვლებში, მაგრამ ყოველთვის არ ხერხდება ამომწურავი პასუხის გაცემა. ვიცი, რომ აშფოთებს მრავალი რამ ჩვენს მოსახლეობას, არის ისეთი ფაქტები, რომელიც ჩვენზე არ არის დამოკიდებული. მე მოგახსენებთ, თუ რა ვითარებაა დღეს შექმნილი, საერთოდ დამოკიდებულებაზე ცენტრისა ჩვენდამი, როგორია ჩვენი ურთიერთობა, როგორია ჩვენი დამოკიდებულება საოკუპაციო ჯარებთან, ავტონომიებში მიმდინარე პროცესებთან, როგორია ჩვენი დამოკიდებულება ოპოზიციასთან, როგორია ჩვენი ეკონომიკური პოლიტიკა, რა მიღწევები გვაქვს, რა გვიშლის ხელს. ასე რომ, ყოველივე აქედან გამომდინარე, მე მსურს მოგახსენოთ შემდეგი: თქვენ იცით, რომ საქართველოში ჩატარდა დემოკრატიული მრავალპარტიული არჩევნები, აქ არ ყოფილა არავითარი ფალსიფიკაცია, უცხოელი ექსპერტები თვალს ადევნებდნენ ამ არჩევნებს. აქ არ ყოფილა არავის მიმართ ძალდატანება, არავის მოტყუება. ქართველმა ერმა გააკეთა არჩევანი — თავისუფალი არჩევანი და მან ხმა მისცა ეროვნულ მოძრაობას, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, ხოლო დღეს, ახლად არჩეული ხელისუფლება, ეროვნული ხელისუფლება, იმგვარად წარმართავს ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებას, როგორც ეს აუცილებელია ქართველი ერისთვის, მისი განვითარების პერსპექტივებისათვის. არიან საქართველოში გარკვეული ძალები, რომელთაც არ აწყობთ სტაბილური მდგომარეობა, არ აწყობთ მშვიდობიანი განვითარება ჩვენი ქვეყნისა. ისინი მოქმედებენ სხვადასხვაგვარი მეთოდებით. მაგრამ, საბედნიეროდ, ისინი არ არიან იმდენად ძლიერნი, რომ რეალური ზეგავლენა იქონიონ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე და ხელისუფლების საქმიანობაზე, რომ რეალურად შეაფერხონ ეს საქმიანობა. ერთ-ერთი მთავარი მეთოდი ამ ძალებისა არის დეზინფორმაციების გავრცელება, ხმების გავრცელება, მოსახლეობის ტერორიზირება სხვადასხვაგვარი ჭორებით, თითქოს საქართველოს უახლოეს ხანში ემუქრება საგანგებო მდგომარეობა, ცენტრის მხრივ უხეში სამხედრო ჩარევა, კომენდანტის საათი და სხვა.

მე უნდა მოგახსენოთ, მეგობრებო, სრული პასუხისმგებლობით, რომ ასეთ ხმებს არავითარი რეალური საფუძველი არ გააჩნია, საქართველოს არ ემუქრება ეს საფრთხე. საბედნიეროდ, საქმის ვითარება იმგვარია საბჭოთა კავშირში, რომ აქტიური ჩარევა, უხეში ჩარევა რესპუბლიკების შინაურ საქმეებში უკვე შეუძლებელი ხდება ცენტრისათვის. თანდათანობით, მით უფრო, თუ ჩვენ ვიქნებით ერთიანნი, თუ დავირაზმებით ახლად არჩეული ეროვნული ხელისუფლების გარშემო, წინ აღვუდგებით ყოველთვის ამგვარ ხრიკებს.

უნდა მოგახსენოთ, რომ თავდაპირველად, როდესაც ჩვენ მოვედით ხელისუფლებაში, ცენტრის მხრივ ძალზე მწვავე რეაქცია იყო. ეს გამოიხატებოდა ზეწარ გაფრთხილებებში, წერილობით ულტიმატუმებშიც, პირდაპირ მუქარაშიც, არც ამას დავმალავ. მაგრამ ჩვენ არა ვართ ის ხალხი, ვისთანაც ამ ენაზე შეიძლება საუბარი — მუქარისა და შანტაჟის ენაზე. როდესაც დარწმუნდნენ ამაში, შეცვალეს ეს პოლიტიკა, ამჟამად უფრო დიალოგის, უფრო მშვიდობიანი საუბრის ფორმა აქვს ყოველივე ამას, არავითარ ძალდატანებას არ აქვს ადგილი, არავითარ ჩარევას არ აქვს ადგილი. მე სრული პასუხისმგებლობით ვამბობ ამას, არის მხოლოდ გარკვეული რეკომენდაციები, გარკვეული თხოვნა ზოგიერთ საკითხებში, მაგრამ არავითარი დიქტატი დღეს უკვე აღარ ხორციელდება. ეს მთავარი და უმთავრესი, რაც უნდა მოგახსენოთ და რაც უაღრესად იმედის მომცემია შექმნილ სიტუაციაში. მაგრამ არც იმას დავმალავ, რომ გარკვეული ძალები, გარკვეული რეაქციული ძალები ცენტრისა კვლავ განაგრძობენ ფარულ მოქმედებას, რაც გამოიხატება უმთავრესად ანარქიისათვის პირობების შექმნაში, გარკვეული ანარქიული ძალებისადმი მხარდაჭერაში. აგრეთვე ე. წ. ავტონომიებში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით უნდა ითქვას იგივე — არის გარკვეული ჩარევები ჩვენი ქვეყნის შინაურ საქმეებში, ოღონდ ფარული, არაოფიციალური და თქვენ იცით, ყოველივე ამას მოჰყვა გარკვეული დესტაბილიზაცია ე. წ. სამხრეთ ოსეთის, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. მაგრამ ყოველივე ამას ვუპირისპირებთ ჩვენს კანონმდებლობას. ჩვენ გარკვევით განვუცხადეთ ცენტრს, რომ გვაქვს ჩვენი კონსტიტუცია, გვაქვს ჩვენი კანონმდებლობა, რომლის პრიმატობაც საქართველოს ტერიტორიაზე გარანტირებულია ამავე კონსტიტუციით და ჩვენ არ დავუშვებთ სხვა რომელიმე ქვეყნის კონსტიტუციის ჩარევას ჩვენს შინაურ საქმეებში, სხვა კონსტიტუციის პოზიციებიდან შეფასებას ჩვენი შინა-პოლიტიკური ვითარებისა და საქმიანობისა. როგორც ჩანს, ჯერჯერობით ამას ითვალისწინებენ და როგორც მოგახსენეთ, ჩვენს საქმეებში აქტიურად არ ერევიან. თუმცა, იმის თქმაც, რასაკვირველია, არ შეიძლება, რომ ჩვენ მთლიანად თავისუფალნი ვართ, მთლიანად დამოუკიდებელნი ვართ. განსაკუთრებით ეკონომიკური თვალსაზრისით. ეს ძალზე ძნელი მისაღწევია ჯერჯერობით. თვით ისეთი ქვეყანა, როგორიც ჩეხოსლოვაკიაა, აცხადებს, რომ მან, მართალია, მიაღწია პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, მაგრამ სრულ ეკონომიკურ დამოუკიდებლობას საბჭოთა კავშირისაგან და ამ ე. წ. ვარშავის პაქტის ქვეყნებისაგან ვერ მიაღწია, ვინაიდან ეს არის ძალზე ხანგრძლივი პროცესი, ძალზე ხანგრძლივი პროცესები დასჭირდება იმას, რომ საქართველო მთლიანად განთავისუფლდეს იმ იზოლაციისაგან, რომელიც მას მოუწყო იმპერიამ და მისმა ხელმძღვანელობამ ამ წლების მანძილზე. მოგეხსენებათ, ჩვენ მოწყვეტილი ვართ მთელ მსოფლიოს, ჩვენ არ ვართ ჩართული მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში და ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი დღეს სწორედ ეს არის — მსოფლიოს ეკონომიკურ ინტეგრაციაში ჩართვა და იმ კავშირების აღდგენა, რომელიც ჰქონდა საქართველოს დასავლეთის ცივილიზებულ ქვეყნებთან, თავისი დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის მანძილზე. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა წარმატებით მიმდინარეობს. თქვენ იცით, რომ ჩვენ მივაღწიეთ გარკვეულ წარმატებებს ამ სფეროში, ძირეულად გარდავქმენით არსებული კონსტიტუცია. ძირეულად გარდავქმენით და მას თითქმის არაფერი აქვს საერთო საბჭოთა კონსტიტუციასთან. მართალია, არის ცალკეული კანონები, რომლებსაც აგრეთვე სჭირდება რეფორმა. განსაკუთრებით მოქალაქეობის შესახებ კანონი. მას ჩვენ ვამზადებთ. აუცილებლად იქნება კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ. სხვათა შორის, ამასთან დაკავშირებით ცენტრალური პრესა განგაშს ტეხს და ცდილობს ისევ და ისევ ნაციონალიზმში დაგვდოს ბრალი, მაგრამ ჩვენ არ გვეშინია ასეთი ბრალდებებისა არც ერთი მხრიდან — არც ცენტრის მხრიდან, არც შინაური ე. წ. ოპოზიციის მხრიდან. მივყვებით იმ კურსს, რომელიც განპირობებულია მრგვალი მაგიდის პოლიტიკური ორგანიზაციების პლატფორმით. ეს პლატფორმა მოწონებულია ქართველი ერის მიერ, მოწონებულია აგრეთვე მსოფლიოს მიერ. მსოფლიო პრესაში იყო ძალზე დადებითი შეფასებები ამ პროგრამისა, ამ პლატფორმისა, სწორედ საერთაშორისო სამართლიდან გამომდინარე. ასე რომ, ჩვენი კურსი უცვლელია და მასზე ვერ მოახდენს ზეგავლენას ვერავითარი გარეშე ძალა.

ჩვენი დამოკიდებულება საოკუპაციო ჯარებისადმი, მოგეხსენებათ, გამომდინარეა საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებიდან. ჩვენ ვაცხადებთ, რომ საოკუპაციო ჯარებს უკვე მიეცა სტატუსი, მიეცა სწორედ უცხო ქვეყნის საოკუპაციო ჯარების სტატუსი იმით, რომ კონსტიტუციაში, ჩვენს დღევანდელ კონსტიტუციაში, მის პრეამბულაში ისინი მოხსენიებულნი არიან, როგორც საოკუპაციო ჯარები და ნათქვამია, რომ მათ მიერ განხორციელდა ანექსია საქართველოსი. კონსტიტუცია არის უმაღლესი კანონი, ასე რომ, სხვა კერძო დადგენილება ამასთან დაკავშირებით არ არის საჭირო, აღარ არის საჭირო ისევე, როგორც არ არის საჭირო დამოუკიდებლობის დეკლარაცია. ვინაიდან საქართველომ დამოუკიდებლობის დეკლარაცია უკვე გააკეთა 1918 წელს. ასე რომ, იურიდიულად ეს დეკლარაცია დღესაც ძალაშია და განმეორებითი დეკლარაცია ჩვენ აღარ გვჭირდება. საქართველო იურიდიულად ყოველთვის დამოუკიდებელი იყო და დღესაც დამოუკიდებელია, ოღონდ სხვა საქმეა დე ფაქტო — ე. ი. ფაქტობრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, რისთვისაც ვიბრძვით და რისთვისაც იბრძვის ჩვენი ეროვნული მოძრაობა. აღდგენა ფაქტობრივი დამოუკიდებლობისა, ეს არის ჩვენი მიზანი — ფაქტობრივი აღდგენა სახელმწიფოებრიობისა, რომელიც ჩვენ ანექსიის შედეგად დავკარგეთ. ასე რომ, არავითარი განმეორებითი დეკლარირება ამგვარი დამოუკიდებლობისა აუცილებლობას არ წარმოადგენს. და არ არის საჭირო არც სისტემატური განმეორება იმისა, რომ საქართველოში საოკუპაციო ჯარი დგას, რომ ეს არის უცხო ქვეყნის ჯარი და სხვა. ეს არის ანბანური, საყოველთაო ჭეშმარიტება, რომელიც განმტკიცებულია ჩვენს კონსტიტუციაში, ხოლო კონსტიტუცია, ვიმეორებ, არის ძირითადი კანონი, რომელსაც ჩვენი სახელმწიფო ეყრდნობა.

რაც შეეხება ავტონომიებს. მოგეხსენებათ, ჩვენ გავაუქმეთ უკანონო ავტონომია ე. წ. სამხრეთ ოსეთისა. ამჟამად იქ მიმდინარეობს მდგომარეობის სტაბილიზაცია იმით, რომ ჩვენი მილიციის ძალები დღითი-დღე უფრო და უფრო აქტიურად მოქმედებენ. შინაგანი ჯარიც უკვე აღარ გვიწევს ისეთ წინააღმდეგობას. ის ექვემდებარება ჩვენს მიერ დანიშნულ კომენდანტს, მართალია, არის ცალკეული მოვლენები, რომელთაც მეტი კონტროლირება სჭირდება. ჩვენ მოვითხოვეთ, კატეგორიულად მოვითხოვეთ ცენტრისაგან, ის არ უნდა ჩაერიოს ჩვენს შინაურ საქმეებში. მას არა აქვს არავითარი უფლება, რაიმე პრეტენზიები წამოგვიყენოს ამ ავტონომიების გაუქმებასთან დაკავშირებით. მაგრამ ეს სეპარატისტი- პროვოკატორები განაგრძობენ თავიანთ საძრახის საქმიანობას. ისინი პირდაპირ მოუწოდებენ სამოქალაქო ომისაკენ მოსახლეობას. იმუქრებიან და ცენტრალური პრესა, სხვათა შორის, მათ სიამოვნებით უთმობს ტრიბუნას. ცენტრალურ პრესაში პირდაპირ ქვეყნდება მათი მუქარები. გვემუქრებიან სამოქალაქო ომით იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ შევიყვანდით ეროვნულ მილიციას ეგრეთ წოდებულ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე. მაგრამ ჩვენ, მიუხედავად ამისა, მაინც შევიყვანეთ. ჩვენი მილიცია იქ მოქმედებს და მოქმედებს საკმაოდ ეფექტიანად, და ალბათ, უახლოეს ხანში მიღწეული იქნება დიდი წარმატებები.

მოახდინა თუ არა მოსკოვში მიმდინარე პროცესებმა რაიმე ზეგავლენა ჩვენს შინაურ პოლიტიკაზე? არ არის დასამალი, რომ ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია შევარდნაძის გადადგომამ. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ განვაცხადეთ, რომ ამ გადადგომას ჯერ ვერ მივცემთ საბოლოო შეფასებას, სანამ იგი დაკმაყოფილებული არ იქნება ცენტრალური ხელმძღვანელობის მიერ. და თუ იგი დაკმაყოფილებული იქნა, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს არის გარკვეული მანევრი, რათა მას შეუქმნან კიდევ დიდი ავტორიტეტი, აამაღლონ მისი პოპულარობა და შემდეგ სცადონ მისი მეშვეობით საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევა და შესაძლოა, მისი ჩამოყვანაც საქართველოში, რასაც ჩვენ, რასაკვირველია, სათანადო შეფასებას მივცემთ, როდესაც საჭირო იქნება. არ ვიცით, საბოლოოდ ამას ჯერჯერობით ჩვენ ვერ დავამტკიცებთ, მაგრამ შეიძლება ეს მანევრი განხორციელდეს სწორედ იმ მიზნით, რომ ხელახლა სცადონ საქართველოს დაქვემდებარება თავიანთი დიქტატისადმი. ეს შეიძლება სწორედ ამ მიზნით განხორციელდა, მაგრამ ჯერჯერობით საბოლოო შეფასებისაგან თავს ვიკავებთ. ასე რომ, კიდევ ვიმეორებ, ცენტრში მიმდინარე პროცესები გვაფიქრებინებს, რომ უფროდაუფრო ხდება საბჭოთა იმპერიის დეზინტეგრაცია. სწორედ ეს ძალები იმარჯვებენ. რასაკვირველია, არის რეაქციული ძალების ცდები, მაგრამ მათ კიდევაც რომ მიაღწიონ დროებით წარმატებებს, რომ შემოიღონ საგანგებო მდგომარეობა მთელ საბჭოთა კავშირში და მათ შორის საქართველოშიც — ეს ვერ იხსნის იმპერიას და ეს ვერავითარ შემთხვევაში ვერ შესცვლის ისტორიის კანონზომიერებას. მოგეხსენებათ, ისტორიის უმთავრესი კანონზომიერებაა იმპერიების დროებითი არსებობა და მათი საბოლოო აღსასრული ყოველთვის გარდაუვალია.

ჩვენი ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ მინდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ გვერგო ძალზე მძიმე მემკვიდრეობა კომუნისტური რეჟიმისაგან. მოგეხსენებათ, თუ რა მანკიერი პროცესები იყო — ეკონომიურ პროცესებს ვგულისხმობთ — როგორი ანარქია, როგორი ქაოსი, დაკანონდა სპეკულაცია, დაკანონდა ხალხის ძარცვა-გლეჯა. ამ სისტემასთან გადამწყვეტი ბრძოლაა საჭირო. ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ, დროებით შევაჩეროთ კოოპერატივების მოქმედება, განსაკუთრებით საზკვების კოოპერატივების მოქმედება, რათა გაუმჯობესდეს მოსახლეობის პროდუქტებით მომარაგება. ეს აუცილებელ ღონისძიებად მივიჩნიეთ. აგრეთვე გავაძლიერეთ კონტროლი საწყობების, ბაკალეის საქმიანობაზე, რათა არ მოხდეს მახინჯი მოვლენები, აღარ გაგრძელდეს ის, რასაც ადგილი ჰქონდა არცთუ ისე შორეულ წარსულში და ყველანაირად გზა გადაეკეტოს სპეკულაციას.

ამავე დროს, ფასების სტაბილურობაზე ზრუნვა ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი გახლავთ. ჩვენი მოსახლეობის აზრის გათვალისწინების გარეშე, სრული პასუხისმგებლობით უნდა მოგახსენოთ, არ გავზრდით ფასებს არც ერთ პროდუქტზე. ეს ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი გადაწყვეტილებაა და თუ იქნება ფასების ზრდა, ეს არ შეეხება ძირითად საკვებ პროდუქტებს, ვიმეორებ ისევ და ისევ, არ მოხდება მოსახლეობის აზრის გათვალისწინების გარეშე. ჩვენ მოვაწყობთ მოსახლეობის გამოკითხვას. თქვენ იცით, რომ მივიღეთ კანონი რეფერენდუმის შესახებ. საერთოდ ეს კანონი მრავალი საკითხის გადაჭრას შეუწყობს ხელს.

ამავე დროს უნდა მოგახსენოთ დემოგრაფიული პოლიტიკის შესახებაც. ამასთან დაკავშირებით ჩვენ განვაცხადეთ, რომ მზადდება კანონი მოქალაქეობის შესახებ. თუ აქამდე საქართველოში ქართველი მოსახლეობის დისკრიმინაცია იყო, ამჟამად ქართველი მოსახლეობის ინტერესები უნდა იყოს დაცული უწინარეს ყოვლისა, მაგრამ ჩვენ ამით არ გამოვრიცხავთ ზრუნვას ეროვნულ უმცირესობათა უფლებებზე. არავითარ შემთხვევაში არავინ იფიქროს, რომ ეროვნული უმცირესობის უფლებები დათრგუნული ან იგნორირებული იქნება. თუმცა ამას ჩვენ გვწამებენ ცენტრალურ პრესაში ხშირად, მაგრამ ეს სინამდვილეს არ შეესაბამება. საქართველო ისეთი ქვეყანაა, სადაც ტრადიციულად მშვიდობიანად ცხოვრობდნენ სხვადასხვა ერების წარმომადგენლები, სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები და ეს ასე გაგრძელდება.

ჩვენი მომავალი პარლამენტის საქმიანობა დაემყარება სწორედ ეროვნული ინტერესების სამსახურს, დაემყარება იმ კურსს, რომელიც ჩვენ გამოვიმუშავეთ და რომელიც მოგაწოდეთ ჩვენი პლატფორმის სახით, და რომლის მთავარი მიზანია სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, ეროვნული შეიარაღებული ძალების შექმნა. როგორც მოგეხსენებათ, უკვე ჩამოყალიბდა ეროვნული შინაგანი ჯარი, ეროვნული გვარდია, რომელიც სტაბილური მდგომარეობის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი უნდა იყოს საქართველოში. ჩვენ მოვუწოდებთ ყველა არაოფიციალურ შეიარაღებულ ფორმირებას, იარაღი ჩააბაროს, დაიშალოს და შემოუერთდეს ეროვნულ გვარდიას, რათა საქართველოში იყოს სტაბილური მდგომარეობა, სამოქალაქო მშვიდობა, აღმოიფხვრას დამნაშავეობა, მოსახლეობამ იცხოვროს მშვიდობიანად. ამისათვის ყველაფერი უნდა გავაკეთოთ. უნდა დავირაზმოთ ეროვნული პარლამენტის გარშემო, რათა მომავალმა თაობამ უახლოეს ხანში დამოუკიდებელ, ეკონომიკურად აღორძინებულ, თავისუფალ და ბედნიერ საქართველოში იცხოვროს.

გილოცავთ ახალ წელს და გისურვებთ განხორციელებულიყოს ჩვენი ერის ყველაზე დიდი, სანუკვარი ოცნება და მომავალ წელს დამოუკიდებელ, თავისუფალ საქართველოში შევხვედროდეთ.



თეთნულდი.

გურამ თიკანაძის ფოტო.

### ოდითგან

## როგორ ხვდებოდნენ ახალ წელს საქართველოში

ბამოჩენილ ქართველ გეოგრაფსა და ისტორიკოსს ვახუშტი ბატონიშვილს აღწერილი აქვს საქართველოს სამეფო კარის საახალწლო წესი: „რამეთუ ახალ წელს ერთს იანვარს უწინარეს ცისკრის ლოცვისა, უკულევდა მეფეს ჭყონდიდელი ჯვარსა და ხატსა და სამკაულსა მეფესა და დედოფალსა, და სანუკვარსა შაქრისასა".

ხელისუფლებას (ბაზიერთუხუცესი, მეჯინიბეთუხუცესი, მწიგნობართუხუცესი და სხვ.) და დიდებულებს შესაფერი საჩუქრები უნდა მიელოცათ მეფისათვის, ხოლო ერისთავებს — ჯაგლაგა ცხენები. ილოდნენ ძსრის მილოცვა, რომლითაც შეაჩვენებდნენ მეფის ორგულებს: „მრავალჟამიერ ყოს ღმერთმანა მეფობა თქვენი მრავალ წელს და ისარი ესე გულსა შინა განერთხოს მეფობისა თქვენისა ორგულსა". მილოცვის შემდეგ იწყებოდა ნადიმობა დიდი „განცხრომითა და სახიობითა".

ერისთავთა მიერ მოყვანილ ჯაგლაგა ცხენებს ხოცავდნენ და ტოვებდნენ შემოღობილ ადგილას, რომელიც ღამით მხეცებით აივსებოდა. გათენებისას ამ მხეცებზე ნადირობდა მეფე.

საქართველოს სხვადასხვა კუთხის მკვიდრნი სხვადასხვანაირად ხვდებოდნენ ახალ წელიწადს.

მსევე როგორც სხვაგან, საქართველოშიც ჩვენს წინაპრებს სწამდათ კეთილი და ბოროტი სულებისა და ცდილობდნენ სხვადასხვაგვარი საშუალებებით ემოქმედათ ამ სულებზე. ახალი წლის ზეიმთან დაკავშირებული იყო მრავალი ცრურწმენა — ხალხური რიტუალები. დიდ როლს თამაშობდა მეკვლე, მეფეხური. დიდი ყურადღება ეთმობოდა სუფრას. რაც უფრო მდიდარი იყო საახალწლო სუფრა, მით უფრო მდიდარი იქნებოდა შემდგომი ცხოვრება.

სამეგრელოში მიღებული იყო ჩიჩილაკების დამზადება. ოჯახის უხუცესი მამაკაცი ჩიჩილაკითა და ლომის მარცვლებით მიადგებოდა სახლს, მარცვლებს მოაყრიდა ეზოში, სახლში, საქათმეში. მეორე დღეს იყო ფერხობა (კუჩხა).

ჩიჩილაკი პოპულარული იყო გურიაში. მეკვლე გათენებისას ჩიჩილაკით ხელში სამჯერ დააკაკუნებდა კარებზე. მასპინძლის კითხვაზე — რა მოგაქვსო, ჩამოთვლიდა სანატრელ საგნებს. ეს ცერემონია სამჯერ მეორდებოდა.

საახალწლო ჩიჩილაკები იცოდნენ აგრეთვე იმერეთსა და რაჭაში. ჩიჩილაკებს რთავდნენ ხილით, ტკბილეულით, ვერცხლის ფულებით.

ახალი წლის ღამეს იმერეთში თავქვეშ ამოიდებდნენ შაქრის ნატეხს.

რაჭაში უცხო კაცს სახლში არ შეიყვანდნენ. უცხო სტუმარს არ უნდა დაეძახნა, არამედ კარებზე უნდა დაეკაკუნებინა.

საახალწლოდ დიდი გამოცხობ ლება იყო ქართლ-კახეთში: აცხობდნენ ბედის კვერებს, ორ-ორს ოჯახის წევრებისათვის, თითოს კი საქონლისათვის. ქართლში საახალწლო ხონჩას ეძახდნენ „აბრამიანს", რომელზედაც აწყობდნენ ღორის თავს, ბედის კვერებს, თაფლიან პურის ნაჭრებს.

სვანეთში ახალ წელიწადს („ზომხა") ოჯახის მეკვლეებს მდინარიდან წყალი მოჰქონდათ. შემდეგ კი „გარეთ მეკვლე" ესტუმრებოდა ოჯახს, სამჯერ იტყოდა „საქონლისა და კაცის სიცოცხლე და სიკეთე" მომაქვსო. მონადირეები მეორე დღეს ნიშანში ისროდნენ, რის მიხედვითაც მომავალს წინასწარმეტყველებდნენ.

ხევსურეთში აცხობდნენ იმდენ პურის კვერს, რამდენი წევრიც იყო ოჯახში. გამოცხობისას ვისი კვერიც ამოიწევდა, ასე სწამდათ — ბედნიერი იქნებაო. ოჯახში წყლის დალევა არ შეიძლებოდა, რათა რძის დალევა არ დაჰბედებოდათ.

ახალ წელიწადს ფშაველი ახალი ტანისამოსით ეგებებოდა. აქაც აცხობდნენ ბედის კვერებს. ოჯახის უფროსს სახლში ძაღლი შეჰყავდა და ამბობდა: „ფეხი შენი, კვალი ანგელოზისაო".

თუშეთში ერთი გვარი ერთად იკრიბებოდა, თან მიჰქონდათ პური, ლუდი, არაყი და მართავდნენ ლხინს.

სამცხე-ჯავახეთში ოჯახიდან გაწათხოვრებულ ნივთებს იბრუნებდნენ, რათა ბარაქა მეზობლის ოჯახში არ დარჩენილიყო. ოჯახის უფროსი ღმერთს შესთხოვდა საქონლის გამრავლებას.

საახალწლოდ აჭარელი თავქვეშ მჭადის ნატეხს ამოიდებდა, რომელიც დილით ადრე, მამლის ყივილამდე უნდა შეექამა.

აფხაზები ახალი წლის წინა დღეს ამზადებდნენ საჭმელსა და სასმელს, დაჰკლავდნენ ძროხას ან თხას და იმდენ მამალს, რამდენიც ოჯახში მამრობითი სქესის სული იყო. ახალ წელიწადს ერთმანეთს ესტუმრებოდნენ.

●

ახალი წლის შეხვედრა წარმოუდგენელია ფერადი სათამაშოებით მორთული ნაძვის ხისა და თეთრწვერა თოვლის პაპის გამოსახულების გარეშე.

ჩვენი საახალწლო ნაძვისხე გარდასულ დროთა გადმონაშთია, გავიხსენოთ სამოსო ხის დადგმა და მისი მორთვა მთელ რიგ ხალხებში. ჩვენი წინაპრების რწმენით, ხე იყო სულების სადგომი. მათ სხვადასხვაგვარ საგნებს მიართმევდნენ, ხის ქვეშ ტოვებდნენ საკვების ნარჩენებს. ასევე ჩამოკიდებდნენ ტოტებზეც. ხის თაყვანისცემა ჩვენშიც იყო გავრცელებული, მაგალითად, მუხის, ცაცხვის და სხვა. ძველი გერმანელები თაყვანს სცემდნენ მარადმწვანე წიწვიან მცენარეებს. სწორედ აქედან გავრცელდა ნაძვის ხის კულტი, კერძოდ, საახალწლო ნაძვის ხეები სხვა ქვეყნებშიც.

ყოველი დღესასწაულის აუცილებელი ატრიბუტი იყო ეგრეთ წოდებული „სანადიმო ხე". წმინდა ხის აღმართვა სოფლის მფარველ ანგელოზს ეძღვნებოდა. ჩვენი საახალწლო ნაძვისხე სწორედ ამ სანადიმო ხის მსგავსია. საახალწლო ნაძვისხის აღმართვა კარგა ხანს ხდებოდა საყოველთაო თავშეყრის ადგილებში. შემდეგ მან ნელ-ნელა ბინებში გადაინაცვლა. რაც უფრო მდიდრულად მოირთვებოდა ნაძვის ხეები, მით უფრო კმაყოფილი იქნებოდნენ „სულები", ისინი კი ხალხის რწმენით, ბინადრობდნენ ხეებში.

მეგრული ჩიჩილაკი მსგავსია ბერძნული „ირესიონისა", რომელიც ეძღვნებოდა სინათლისა და სითბოს ღვთაებას — აპოლონ ათინელს.

ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის დასაწყისში საშობაო ანუ საახალწლო ნაძვისხე იშვიათობა იყო საბჭოთა კავშირში. აწყობდნენ მას მდიდარ ოჯახებსა და გიმნაზიებში. იგი ქრისტეშობის დღესასწაულთან იყო დაკავშირებული.

იმის გამო, რომ საახალწლო ნაძვისხე თავისი მორთულობით იმ ძველ რელიგიურ ხეს ჰგავდა, საბჭოთა კავშირში თავიდან მის წინააღმდეგ გაილაშქრეს, მხოლოდ 30-იანი წლებიდან მოეხსნა მას ეს ბრალდება.

ნაძვის ხეების მასობრივი მოჭრა გარკვეულ საფრთხეს უქმნიდა ტყეებს. ამის თაობაზე წუხდა გაზეთი „ივერია" ჯერ კიდევ 1904 წელს: „ნაძვის მოჭრას და შობის ხედ დადგმას აღმზრდელი მნიშვნელობა არა აქვს, რადგანაც ამ ადათს ტყის განადგურება მოსდევს. ვინ მოთვლის, ან კი შეიძლება მისი წარმოდგენა, რაც საშობაო დღესასწაულებისათვის ნაძვი მოიჭრება მთლად საქრისტიანოში?

იმავე ყმაწვილებს კი, რომელთა სიამოვნებისთვისაც ნაძვის ხეს ვანადგურებთ, ვასწავლით, ვაყვარებთ ტყის გაშენებას...

აი აქ, ამ საშობაო დღესასწაულისთვის გვესაჭიროება ყალბი ნაძვის შემოღება...".

საახალწლო ზეიმის განუყრელი ნაწილი ნაძვისხესთან ერთად თოვლის პაპაა. მისი წინაპარია ქრისტიანული დროის გერმანიაში ზამთრის დღესასწაულთან დაკავშირებული კნეხტ რუპრეხტი — ბანჯგვლიანი მოხუცი, რომლითაც აშინებდნენ ბავშვებს. შემდგომ მისი ფუნქცია გადასხვაფერდა. იგი ამოწმებდა ბავშვთა საქციელს. ეს იყო რუპრეხტის მონათესავე — წმინდა ნიკოლოზი, რომლის დღე აღინიშნებოდა 6 დეკემბერს; ბოლოს სამღვდელოებისა და პედაგოგთა გავლენით, რომლებიც წინააღმდეგნი იყვნენ ბავშვთა დაშინებისა, რუპრეხტისა და ნიკოლოზის გვერდით შეიქმნა ნეიტრალური სახე „საშობაო ადამიანისა".

საშობაო თოვლის პაპის კულტი თეთრწვერა კეთილი მოხუცის სახით, რომელიც ჩვენში საახალწლო თოვლის პაპად იწოდება, ფართოდ გავრცელდა მთელ რიგ ქვეყნებში.

ბრიტანეთის კუნძულებზე თოვლის პაპას სანტა კლაუსი (წმინდა კლაუსი) ეწოდება, იტალიაში კი „ბაბო ნატალეს" უძახიან.

ახალი წლის დადგომას ჩვენში თოფების სროლით ეგებებიან. ეს ჩვევა, რომელიც გავრცელებულია მთელ რიგ ხალხებში, უძველესი დროიდან მომდინარეობს. ხმაურითა და ყიჟინით სურდათ დაეფრთხოთ მავნე, ავი სულები, რომლებსაც შეეძლოთ დაესადგურებინათ საცხოვრებელ ადგილებში, სამუშაო იარაღებში, ეზოებში და სხვ.

ჩვენში საახალწლო ტაბლაზე მიღებული იყო ღორის თავი. ღორი დაკავშირებულია ახალი წლის ღვთაების თაყვანისცემასთან. ს. მაკალათიას მიხედვით წარმართულ დროში, როდესაც იყო მუხის თაყვანისცემა, იგი მზის ღვთაების სადგომად ითვლებოდა. წმინდა მუხნარს ეტანებოდნენ ღორები, რომლებიც მისი ნაყოფით იკვებებოდნენ. ამიტომ ღორი მუხის ღვთაებისადმი შეწირულად ითვლებოდა. მორწმუნეთათვის მათი ხელის ხლება და ხორცის ჭამა აკრძალული უნდა ყოფილიყო. მხოლოდ წელიწადში ერთხელ, წლისთავზე ღორს მზის ღვთაებას მსხვერპლად სწირავდნენ. ქრისტიანობის გავრცელებამ მრავალი წარმართული წესი შეცვალა. ღორზე დადებული „ტაბუ" თანდათანობით მოისპო და მისი ხორცის ჭამა ქრისტიანებისათვის ნებადართული შეიქმნა.

ყველა საახალწლო წეს-ჩვეულება და რიტუალი გარდასულ დროთა გადმონაშთია, რომელმაც ახალი ფორმა მიიღო. ამჟამად უმრავლესი საახალწლო ჩვევები ან დავიწყებულია, ან დაკარგა თავისი მაგიური აზრი. ახალი ელემენტები შეერწყა ტრადიციულს. მათ რელიგიური შინაარსი არა აქვთ. ყველა ქვეყანაში ამ ჩვევებს ერთი აზრი აქვს — მხიარულად შეხვდნენ ახალი წლის დადგომას, მიანიჭონ სიხარული ახლობლებს, უსურვონ ერთმანეთს წარმატება და ბედნიერება.

ხულიკო ნუცუბიძე.

## გამოხმაურება

# ვიყოთ გულახდილები

[illegible]

...როვნების, არამედ მთელი კონგრესის, თანაც ეროვნული კონგრესის, თვალსაზრისს, როგორც ეს სათაურიდან ჩანს.

ასევე, ჩვენდა სამწუხაროდ, მოცემული მოხსენება შეიცავს პოლიტიკურ ხარვეზებს და ლოგიკურ შეცდომებსაც. იგი შექმნილია აშკარა სურვილით, დისკრედიტაცია მოახდინოს 1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიული არჩევნებისა და მისი უშუალო შედეგებისა. ეს სურვილი იმდენად ნათლად ჩანს მოხსენებაში, რომ ასევე ცხადია და ხშირად ისეთ ხელოვნურ ხასიათსაც იღებს, რომ ავტორს უხერხულ მდგომარეობაშიც აგდებს და მის არაგულწრფელობაზე მიანიშნებს.

უკვე პირველივე აბზაცში შეცდომაა, თანაც აშკარა. სამწუხაროა რომ სწორედ შეცდომით იწყებს ბ-ნი თ. სუმბათაშვილი. იგი წერს: „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნები, დანიშნული 1990 წლის 25 მარტს, როგორც მოგეხსენებათ, გადატანილი იქნა შემოდგომისათვის და ჩატარდა 28 ოქტომბერს." ავტორს უნდა შევახსენოთ, რომ 28 ოქტომბერს ჩატარდა არა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, არამედ სწორედ საქართველოს რესპუბლიკის არჩევნები, თანაც ეს იყო მრავალპარტიული არჩევნები და არა ერთპარტიული. ასე, რომ 25 მარტისა და 28 ოქტომბრის არჩევნების ერთ კონტექსტში მოხსენიება ან შეგნებული სიცრუეა, ანდა პოლიტიკური სიბეცე.

მივყვეთ ტექსტს და სულ მალე მეორე დიდ შეცდომასაც ვნახავთ: „ხელისუფლება, არჩევნების ჩატარებას შესძლებდა"-ო, წერს ავტორი და მხედველობიდან უშვებს იმ დროის რეალურ სიტუაციას. სწორედ რომ ვერ შესძლებდნენ არჩევნების ჩატარებას 25 მარტს არა თუ ხელისუფლება, არამედ თვით ფარული მტრული ძალებიც, რადგან ხალხმა აშკარად შენიშნა ამ არჩევნების ყალბი პათოსი, მისი ერთპარტიული ხასიათი, მისივე ფარული და მეტად საშიში ზრახვები. მოსახლეობის უმრავლესობა 25 მარტის არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებდა, რადგან იგი არაფრით განსხვავდებოდა წინა ფალსიფიცირებული არჩევნებისგან, რადგან იგი ძველის თვისებრივ შეცვლაზე კი არა, არამედ მის შენიღბულ შენარჩუნებაზე ორიენტირებდა. პოლიტიკური სიმართლე გვაიძულებს აღვნიშნოთ, რომ 25 მარტის არჩევნების ჩაშლა ხელისუფლებისათვის დიდ ტრაგედიას წარმოადგენდა, რადგან ამით მოახლოვდა ნამდვილი მრავალპარტიული არჩევნები, რომელმაც მართლაც ბოლო მოუღო კომუნისტურ დიქტატს საქართველოში. 25 მარტის ერთპარტიული არჩევნების ჩატარებით ხელისუფლება დიდი ხნით გადასწევდა მრავალპარტიულ, ნამდვილად დემოკრატიული არჩევნების ჩატარების ფაქტს და ამით გაახანგრძლივებდა კომუნისტური რეჟიმის არსებობას საქართველოში. ამ ხნის განმავლობაში კი რა იცი, რა მოხდებოდა — ხალხი უკიდურესად გადაიღლებოდა და შესაძლოა თავს დაანებებდა ეროვნულ მოძრაობას, ანდა, თვისებრივი ცვლილებებისა და რეალური შედეგების ამაოდ მოლოდინე, ისევ კომუნისტებისაკენ გადაიხრებოდა და თავისი ნებით კვლავ გაწევდა კომუნისტური უღლის ჰაპანს. 25 მარტის ერთპარტიული არჩევნების ჩაშლით კი ძირი გამოეთხარა ამ ზრახვების განხორციელებას. რაც შეეხება გადატანას, უნდა ითქვას, რომ ოფიციოზს 25 მარტის გადატანა კი არა, არამედ 28 ოქტომბრის არჩევნების გადატანა სურდა, რადგან ეს არჩევნები მრავალპარტიული უნდა ყოფილიყო და აშკარად დემოკრატიული, სადაც იგი ველარ შენიღბავდა თავის ზრახვებს და სადაც აშკარად გამოვლინდებოდა ერის ნება, რომელიც ცხადად იხრებოდა ოპოზიციის მხარეს.

აქვე უნებლიედ იპარება გარკვეული ფსიქოლოგიური ნიუანსი:

[illegible] ...ნების აქტიურმა ბოიკოტირებამ ყოველგვარი აზრი დაკარგა". აქ მჟღავნდება ის აზრი, რომ ოფიციოზს პირიქით დაუშლელი ფორუმი აწყობდა, რადგან მასში შინაგანი, ფარული წინააღმდეგობები იმანენტურად მოუღებდა ბო-

[illegible] ...ჭეშმარიტი მრავალპარტიული არჩევნები კი ახრჩობს მას. ამას მოწმობს აღმოსავლეთ ევროპის. ზოგიერთი ქვეყნის მაგალითი, რომელმაც დამალა სოციალისტური სისტემა. განა ესეც უხარია იმპერიას? იქნებ ვარშავის ხელშეკრუ-

[illegible] ...რიულ სახელმწიფოებრიობას, რომელიც, მადლობა ღმერთს, გაგვაჩნდა, თანაც მრავალი საუკუნის მანძილზე. აი, მოჩვენებითი დაპირისპირებისა და ხელოვნური, ძალდატანებითი ლოგიკური მსჯელობის ნიმუში და მისი მოდელიც-

[illegible] ...აღიარეს საზღვარგარეთელმა ექსპერტებმა, უცხოელმა სპეციალისტებმა. რაც მთავარია, 28 ოქტომბრის არჩევნების კანონიერება აღიარა თვით ქართველმა ერმა, კიდევ ერთხელ დაადასტურა რა ამით თავისი ნების კანონიერება.

ლოს ეროვნული მოძრაობის წარმმართველ ბირთვს, ხოლო მათი ავტორიტეტით ანუ სახელით კი ხალხს გონებას აურევდნენ და შეეცდებოდნენ ეროვნული მოძრაობის სწორი გზიდან გადახვევას. ფორუმიდან გამოსულმა ოპოზიციამ კი ამის საშუალება არ მისცა ოფიციოზს. ამით გადარჩა ეროვნული მოძრაობა, გადარჩა უფლის გზა და განიწმინდა ყოველგვარი ცდუნებისაგან. ხოლო, 1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიული არჩევნებით ქართველმა ერმა დაამტკიცა, რომ იგი მყარად ადგას ამ დალოცვილ გზას, გზას ხსნისა და გამარჯვებისა.

თუ ეს ყველაფერი ოფიციოზის მიერ იყო ინსცენირებული და ჩაფიქრებული, თუ მას მართლაც აწყობდა მრავალპარტიული არჩევნები საქართველოში, მაშინ რატომ „შეიყვანა" საკორდინაციო ცენტრში ეროვნული მოძრაობის ლიბერალური ფრთა და შეუერთა დარჩენილ „შეურიგებელ" ოპოზიციას, ის ლიბერალური ფრთა, რომლის „უსუსურობის" შიშით, ავტორისეული აზრით, მან თითქოს „ჩაშალა" 25 მარტის არჩევნები? ამასვე ხომ თავად თ. სუმბათაშვილი აღნიშნავს: „პოლიტიკური ვითარება ასეთი გახლდათ: საქართველოს კომპარტია, სახალხო ფრონტი და ეროვნული მოძრაობის ლიბერალური ფრთის წარმომადგენლები ჩაბმულნი იყვნენ საარჩევნო კამპანიაში... ამგვარად, 25 მარტს დანიშნული არჩევნების შედეგად, საქართველოს უზენაეს საბჭოში. ბუნებრივია თავს მოიყრიდნენ საქართველოს კომპარტიის, სახალხო ფრონტის და ეროვნული მოძრაობის ლიბერალური ფრთის წარმომადგენლები". ანდა რატომ „დაავალა" მაშინ ოფიციოზმა ამავე შეურიგებელ ოპოზიციას მრავალპარტიულ არჩევნებში მონაწილეობა იმ დროს, როცა ეს არ გააკეთა 25 მარტს? ამასთან, თუ ასეთი მრავალპარტიული არჩევნების „ინსცენირება" ძალუძს, მაშინ რატომ არ აკეთებს ამას მოსკოვი თავისთან, თავის საკუთარ სახლში? ხომ ფაქტია, რომ მრავალპარტიული არჩევნების წინა პერიოდში გულზე არ ეხატებოდათ იგი კომუნისტებს? სწორედ იმიტომ არ ეხატებოდათ, რომ კარგად იცოდნენ, ეს დაამხობდა მათ ხელისუფლებას. განა ცოტა წინააღმდეგობა შექმნეს მათ ამ გზაზე და განა სამტრედიაში მოწყობილი ცნობილი გაფიცვაც მათი „ინსცენირებული" იყო? ეს ხომ აშკარად ფალსიფიცირებაა ისტორიული პროცესებისა. თუ ინსცენირებული იყო, მაშინ რატომღა დაიზარალებდნენ თავს, განა სხვა უფრო უმტკივნეულო სცენარის მოწყობა გაუჭირდებოდათ? აი, სადამდე შეგვიძლია მიგვიყვანოს ისტორიული მოვლენების ტენდენციურად, ხელოვნურად წარმოჩენამ. ეს ხომ აშკარა სიყალბეა. განა მოსკოვს გაუხარდა, რომ საქართველოში დაემხო კომუნისტური დიქტატურა, თანაც ასე მშვიდობიანად და უსისხლოდ? განა მოსკოვს გაუხარდა შეურიგებელი ოპოზიციის მოსვლა ხელისუფლების სათავეში? პირიქით, მოვლენები სწორედ რომ ისე არ წარიმართა, როგორც კრემლს ჰქონდა დაგეგმილი და ჩვენდა საბედნიეროდ მათ სურვილთა საპირისპიროთ განვითარდა.

თუ ყველაფერი ეს მოსკოვის ინსცენირება გახლდათ, მაშინ რატ-

ლების რღვევაც ახარებს? აქედან, მრავალპარტიული არჩევნების იდეა ჩვენს ეროვნულ მოძრაობაში ზევიდან ვერ იქნებოდა შემოგდებული, იგი დაიბადა შიგნიდან, დემოკრატიული ეროვნული პროცესების ბუნებრივი განვითარების ლოგიკიდან. თ. სუმბათაშვილს ვთხოვთ გაიხსენოს მ. კოსტავას გამოსვლები, სადაც იგი აშკარად მიანიშნებს და აღნიშნავს, რომ ჩვენ აუცილებლად უნდა მივიდეთ მრავალპარტიულ არჩევნებამდე, რომ ჩვენში უნდა გაიმარჯვოს დემოკრატიზაციამ, რომელიც წარმოუდგენელია მრავალპარტიული არჩევნების გარეშე, ეს ხომ 25 მარტის არჩევნებამდე ხდებოდა. გავიხსენოთ ზ. გამსახურდიას გამოსვლები, სადაც ასევე აღინიშნებოდა მრავალპარტიული არჩევნების იდეის განხორციელების აუცილებლობა, ეროვნული პარლამენტის შექმნის მიზანშეწონილობა. ესეც ხომ 25 მარტის არჩევნებამდე ხდებოდა. მაშასადამე დასკვნა საღი პოლიტიკოსისათვის ერთი უნდა იყოს — მრავალპარტიული არჩევნების იდეა გარედან ან ზევიდან კი არ იყო შემოგდებული, არამედ იგი ჩვენი ეროვნული მოძრაობის იმანენტური განვითარების ბუნებრივი და ლოგიკური შედეგია, რომელიც აბსოლუტურად შეესაბამებოდა და შეესაბამება თავისუფლების აღდგენის მოსურნე ქართველი ხალხის ძირეულ ინტერესებს, მის სასიცოცხლო სურვილებსა და მისწრაფებებს.

ყოველივე თქმულიდან გამომდინარე არალოგიკურია და არადამაჯერებელიც, როდესაც თ. სუმბათაშვილი 28 ოქტომბრის არჩევნებში ქართველი ერის ნების გამოხატვას, მის თავისუფალ აქტს იურიდიულ დამარცხებად თვლის, რადგან მისი თქმით „ქართველმა ხალხმა იურიდიულად დაამარცხა თავისუფალი საქართველოს ხელისუფლება, რადგან დემოკრატიული წესით ჩატარებულ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო და დიდი ენთუზიაზმით აირჩია უზენაესი საბჭო — ე. ი. 69 წლის შემდეგ ნებაყოფლობით აღიარა ხელისუფლების ის ინსტიტუტი, რომელიც დამპყრობელმა თავს მოგვახვია 1921 წელს, თავისი დანაშაულის შესანიღბავად".

ჯერ ერთი, ქართველმა ხალხმა იურიდიულად დაამარცხა არა თავისუფალი საქართველოს ხელისუფლება, არამედ კომუნისტური წყობა, კომუნისტური დიქტატურა, რომელიც წარმოადგენდა რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის რეჟიმს საქართველოში. ამ დიდი ეროვნული აქციის დადებითი შედეგები ნათელია ყველასათვის. მეორე, ქართველმა ერმა აირჩია არა ხელისუფლების ის ორგანო, რომელიც თავს მოგვახვია დამპყრობელმა, არამედ ეროვნული პარლამენტი, რომლითაც ძირი გამოუთხარა და დაამხო თავს მოხვეული ძალმომრეობითი ინსტიტუტი. მესამე, ქართველმა ხალხმა მონაწილეობა მიიღო არა ვინმეს მიერ თავს მოხვეულ და მოწყობილ არჩევნებში, არამედ იმ მრავალპარტიულ არჩევნებში, რომელიც ბუნებრივი დაგვირგვინება გახლდათ მისი შეუპოვარი ბრძოლისა საღი ეროვნული ოპოზიციის წინამძღოლობით და სადაც, სხვათაშორის, შეეძლოთ სხვა პარტიებსაც და დაჯგუფებებსაც გამარ-

თ. სუმბათაშვილის ლოგიკით 1918 წელს დემოკრატიული რესპუბლიკა კი არ უნდა გამოცხადებულიყო, არამედ მეფის ტახტი უნდა აღმდგარიყო. რუსეთმა საქართველოს შეერთებისას ხომ მეფის ტახტი გააუქმა, სამეფო ხელისუფლების ლიკვიდაცია მოახდინა. მაშ, რა უფლებით გამოაცხადეს მაშინ დემოკრატიული რესპუბლიკა და არ აღადგინეს ბაგრატოვანთა დინასტია? აი ხელოვნური, სუმბათაშვილისეული ლოგიკის რეალური სახე.

თ. სუმბათაშვილის „ნათელი" ლოგიკით ერთა ლიგაც უნდა აღდგეს და გაუქმდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, და ვიდრე ერთა ლიგა არ აღდგება, მანამდე ვერ გავაცოცხლებთ დემოკრატიულ საქართველოს.

თ. სუმბათაშვილს ავიწყდება, რომ საქართველოს ბედი, მისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი უნდა გადაწყდეს თვით საქართველოში, ქართველი ხალხის ნებით. ერთა ლიგამ მხოლოდ დააფიქსირა ქართველი ხალხის მაშინდელი წარმატება. ასევე მოხდება დღესაც. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია კი არ მოგვანიჭებს თავისუფლებას, არამედ ჩვენ თავად უნდა მივაღწიოთ მის აღდგენას. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნებართვას კი არ უნდა ველოდოთ, ეს ხომ ისევ გარედან იქნება თავს მოხვეული, არამედ ჩვენ თავად გამოვავლინოთ ჩვენი ნება, იგი მხოლოდ დააფიქსირებს ჩვენს მიღწევებს.

თ. სუმბათაშვილი უარყოფს უსისხლო რევოლუციის არსს და არსებობას, იგი უარყოფს ბუნებრივი, იმანენტური განვითარების ლოგიკას, რაც რაიმე მოვლენის შინაგანად დაძლევის დიალექტიკურ პროცესს გულისხმობს. აქედან გამომდინარე, ყალბია და თითიდან გამოწოვილი სუმბათაშვილისეული დასკვნა: „1990 წლის 28 ოქტომბერს ჩატარებული არჩევნების კანონი საბოლოოდ დაამტკიცა და აამოქმედა სსრკ კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის ძალით არსებულმა, ე. ი. არაკანონიერმა უზენაესმა საბჭომ. ამ არაკანონიერმა უზენაესმა საბჭომ ჩაატარა ეს არჩევნები — არაკანონიერი უზენაესი საბჭოს მიერ დამტკიცებული საარჩევნო კანონი არაკანონიერია! არაკანონიერი უზენაესი საბჭოს მიერ არაკანონიერი საარჩევნო კანონის შესაბამისად ჩატარებული არჩევნები არაკანონიერია და ამდენად, 28 ოქტომბერს ჩატარებული არაკანონიერი არჩევნების შედეგად ფორმირებული უზენაესი საბჭოც არაკანონიერია!... ამასთან, 28 ოქტომბერს არჩევნები ჩატარდა საქართველოში, ე. ი. დაპყრობილ ქვეყანაში... დაპყრობილ ტერიტორიაზე ფაქტობრივად მოქმედებს მხოლოდ დამპყრობელის უზენაესობა, გარანტირებული საოკუპაციო ჯარების მიერ".

ამ დასკვნის საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას შემდეგი: 1. 28 ოქტომბრის არჩევნების კანონი იმ დროინდელმა მარიონეტულმა უზენაესმა საბჭომ კი არ დაამტკიცა და აამოქმედა, არამედ იძულებული იყო წასულიყო დათმობაზე, რადგან რესპუბლიკაში არსებობდა რევოლუციური სიტუაცია — ხალხს აღარ შეეძლო ძველებურად

4. მაშასადამე, 28 ოქტომბრის არჩევნების კანონიერების აღიარება ქართველი ერის ნების აღიარებაა, ხოლო ამ არჩევნების არაკანონიერად წარმოდგენა კი ქართველი ხალხის ნების შეურაცხყოფა, მისივე თავისუფალი ნების უგულებელყოფა, რაც დაუშვებელია და სახიფათოც. 5. 28 ოქტომბერს არჩევნები ჩატარდა რევოლუციურ საქართველოში, სადაც მიმდინარეობდა უსისხლო რევოლუცია და ეს არჩევნებიც მისი ლოგიკური დაგვირგვინება გახლდათ. 28 ოქტომბრის არჩევნებით ბოლო მოეღო საქართველოს დაპყრობილ მდგომარეობას და იგი თავისუფლების დამკვიდრების გარდამავალი პერიოდის ნათელ გზაზე დააყენა, როდესაც დამოუკიდებლობის გამოცხადება იქნება არა დასაწყისი, არამედ დაგვირგვინება ეროვნული განთავისუფლებისა.

რატომ ავიწყდება ავტორს, რომ ეროვნული კონგრესის არჩევნებიც ამავე საქართველოში ჩატარდა, თანაც ერთი თვით ადრე, განა მაშინ უკვე თავისუფალი იყო საქართველო? საინტერესოა, თ. სუმბათაშვილი რატომ არ აღრმავებს თავის ფანტაზიებს, თავისი ლოგიკური „აზროვნების" ნიმუშებს? ეს იმიტომ, რომ შეიძლება ვინმეს ანალოგიური მოდელით გაუჩნდეს მოსაზრება, რომ სწორედ ეროვნული კონგრესის არჩევნები და ფორმირება იყო იმპერიული ცენტრიდან ინსპირირებული და ინსცენირებული, რადგან ეს საეჭვო არჩევნები მაინც გაფორმდა ისე, როგორც ეს აწყობდა მის „შემომქმედებს". შესაძლოა, მართლაც კრემლის გარკვეულ დასაყრდენს წარმოადგენდეს იგი ქართველი ერის ნების გამომხატველი უზენაესი საბჭოს წინააღმდეგ. და რაც მთავარია, მოხსენების დედა-აზრია უზენაესი საბჭოს ავტორიტეტის დაცემა და იდეოლოგიური ფონის მომზადება იმისათვის, რომ წინა პლანზე წამოიწიოს ეროვნულმა კონგრესმა. თუ უზენაესი საბჭო უკანონოა, მაშინ კანონიერი იქნება ეროვნული კონგრესი, რომელიც ფაქტობრივად ქართველ ხალხს არ აურჩევია, და ხელისუფლების ხელში აღებას ან მის გაყოფას მოითხოვს. ამის ნიშნები უკვე გამოიკვეთა. არჩეულია კონგრესის პრეზიდიუმი, აირჩევა, ალბათ, სხვა ორგანოებიც.

შესაძლოა ვიფიქროთ ისიც, რომ 28 ოქტომბრის არჩევნებით, ანუ უსისხლო რევოლუციით კრემლს რეალური დასაყრდენი გამოეცალა ადგილობრივი მარიონეტული ხელისუფლების სახით, ხოლო ცრუ ეროვნულ მოღვაწეებს გარკვეული საფუძველი თავისი პიროვნული ამბიციების დაკმაყოფილების ხელშეწყობისათვის. აი ჭეშმარიტი მიზეზი იმისა, რომ დღეს თავად ქართველებს უპირისპირდებიან თავისივე ერის ნებას და მის გამომხატველ უზენაეს საბჭოს ანუ ეროვნულ პარლამენტს.

ყოველივე თქმულიდან გამომდინარე, ყალბია აგრეთვე თ. სუმბათაშვილის მოთხოვნების ციკლი უზენაესი საბჭოს მიმართ. თუ საქართველო კოლონიაა, როგორც ამას ავტორი ამტკიცებს, მაშინ ის იურიდიულადაც არ ყოფილა თავისუფალი. ჩანს თ. სუმბათაშვილი თავის შეხედულებებს თავადვე ეწინააღმდეგება. ამასთან, კოლონიურობაში თავადვე იგულის-

[illegible] ...ულად, როცა ის ფაქტობრივად უკვე ეროვნული პარლამენტია და არჩეულია ერის მიერ, გამოხატავს მის ნებას, თანაც თავისუფალს.

უზენაესი საბჭო მოწოდებულია საბჭოური სისტემის, მისი სტრუქტურების ლიკვიდაციისათვის, რადგან ეს წარმოადგენს ქართველი ერის ნებას. გარდა ამისა, საბჭოთა სტრუქტურების რღვევა დღეს საქართველოში შეუძლებელია კადრების ცვლის გარეშე, რადგან კადრები დიდ როლს თამაშობენ ერთი მხრივ ძველი სისტემისა და მეორეს მხრივ ახალი წყობის დამკვიდრების მამულიშვილურ საქმეში.

სათქმელია ისიც, რომ დემოკრატიზაციის პროცესი კი არ იზღუდება, არამედ მიზანმიმართული ხდება ქართველი ერის ნების შესაბამისად. საქმე ისაა, რომ ახლანდელი ხელისუფლება ხალხმა აირჩია და იგი უნდა მიყვეს მის ნებას. ე. ი. დღეს უკვე ხალხია თავისი ბედისა და ქვეყნის წარმმართველი და რეალური შემოქმედიც. ჩვენ გვინდა არა ცრუ, სალაყბო დემოკრატია, არამედ ჭეშმარიტი, ნამდვილი დემოკრატია, რომელიც ხალხის მისწრაფებების, სურვილების, მიზნების რეალური გამომხატველი იქნება. მრგვალი მაგიდის პოლიტიკური ალიანსი ხალხის ნებამ მიიყვანა ხელისუფლებაში. ხალხმა იწამა ამ ბლოკის პროგრამა, მისი კრედო, მრწამსი. აი მთავარი მიზეზი იმ მხარდაჭერისა, რომელსაც განიცდის მრგვალი მაგიდა — როგორც პოლიტიკურს, ისე მორალურს — ხალხის უმრავლესობის მხრიდან. აი მთავარი მიზეზი იმისა, რომ ქართველ ერს სჯერა თავისი არჩევანისა და ვერავითარი დემაგოგია და შანტაჟი ამ გზიდან მას ვერ გადაახვევინებს.

თუ გვინდა საქართველოს ბედნიერება, მისი თავისუფლება და დამოუკიდებლობა, თუ გვჯერა მისი ნათელი მომავლისა, თუ ვეტრფით ერთიან და მთლიან, განუყოფელ საქართველოს დამკვიდრებას, მაშინ უნდა ვაღიაროთ იმ უზენაესი საბჭოს უზენაესობა, იმ პარლამენტის უფლებამოსილება, რომელიც საქართველოს რეალურმა პატრონმა — ქართველმა ხალხმა — აირჩია მრავალპარტიული, თავისუფალი არჩევნების გზით.

საჭიროა აღვნიშნოთ ისიც, რომ ახლადარჩეული საბჭოს, ეროვნული პარლამენტის უზენაესობის აღიარება სრულიადაც არ ნიშნავს სხვა პოლიტიკური გაერთიანებების შეზღუდვას ან დამცირებას, თუნდაც ოპოზიციის დაკნინებას. საღი ოპოზიცია უნდა არსებობდეს, იგი მოქმედების და წარმატების გარკვეული საწინდარიცაა. მხოლოდ ხელოვნური, ძალდატანებითი, ყალბი ოპოზიციაა საქმის, მითუმეტეს ეროვნულის დამაბრკოლებელი. პირიქით, ხალხის ნების გამომხატველი უზენაესი საბჭო უნდა იყოს ის ბირთვი, რომლის გარშემო დაირაზმება ქართული პოლიტიკური ცნობიერება, რადგან სწორედ ერის ნების გამომხატველი საბჭოს უზენაესობაა ქართველი ხალხის ღირსების დამკვიდრების გარანტი. იყოს ოპოზიცია, მაგრამ საღი, რომელიც ერის მიერ არჩეულ პარლამენტს გააკრიტიკებს არა მისი უზენაესობის გაბათილების, მისი ძალის დაკნინების, არამედ მისივე წარმატებული სვლის ხელშეწყობისათვის. აი გზა ყველა პოლიტიკური ძალის დაახლოვებისა საქართველოში, რომელიც ქართველ ხალხს სრულ თავისუფლებამდე მიიყვანს, რომლითაც აღდგება ჩვენთვის ნანატრი სახელმწიფოებრიობა და დამოუკიდებლობა.

ეს გზა კი განათდება ჩვენი გულახდილობით და ჩვენივე გულწრფელობით, რომელიც ეფუძნება ქართველი ხალხის სიყვარულს და უფლის ნათელ რწმენას.

**ზურაბ ბაგნიძე,**

ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი, ჰელსინკის კავშირის წევრი.

1990 წლის 16 დეკემბერი.

## დეპეშა

[illegible]

## ფიქრი

# გავშენოთ ჩვენი სახლი

[illegible] ...შევიკრათ და ერთად დავდგეთ, განხეთქილების მორიელი გვგესლავს. რა დროს შენ-ჩემობაა, ძვირფასო ქართველო. ხომ იცი, შენი სამშობლო ყოველი მხრიდან მტრიანია, მიდი და მოძმეს გული გაუთბე, შეიძლება რამეში არ ეთანხმებოდე, დარწმუნებულიც იყო სიმართლეში, მაგრამ ნუ გა- [illegible] ...სულოვნებით აშენებდა.

მივყვეთ ჩვენს მიერ არჩეულ პარლამენტს, ჩვენთვის სასურველ კალატოზს და ერთად ვაშენოთ ჩვენი და შთამომავლობის საცხოვრისი, ერთიანი, დამოუკიდებელი საქართველო!

**ჯემალ ქურხული.**

# მთავრობის მოამბე

### საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრემიის" მინიჭების შესახებ

**მიღებულ** იქნეს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის წინადადება 1990 წლის „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრემიის" მინიჭების შესახებ და პრემია მიენიჭოთ:

**ლიტერატურის დარგში**

**მარიკა გერვასის ასულ ბარათაშვილს** (პოეტს) — „მნათობსა" და „ლიტერატურულ საქართველოში" უკანასკნელ ორ წელიწადს გამოქვეყნებული ლექსებისათვის.

**მუსიკის დარგში**

**სახტელერადიოს სიმებიან კვარტეტს: ლევან გიორგის ძე ჩხეიძეს, გიორგი მიხეილის ძე ხინთიბიძეს, არჩილ ონოფრეს ძე ხარაძეს, რევაზ ივანეს ძე მაჩაბელს** — 1988-1990 წლებში ნაყოფიერი საკონცერტო-შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის.

**სახვითი ხელოვნების დარგში**

**გიორგი გიორგის ძე შხვაცაბაიას** (მოქანდაკეს) და **თეიმურაზ არჩილის ძე მიქაშავიძეს** (არქიტექტორს) — გალაკტიონ ტაბიძის ძეგლის შექმნისათვის, რომელიც 1990 წელს დაიდგა ქ. ქუთაისში.

**თეატრალური ხელოვნების დარგში**

**შალვა ვლადიმერის ძე გაწერელიას** (რეჟისორს), **ლაშა გავის ძე სამსონაძეს** (დრამატურგს), **მიხეილ დავითის ძე ჭავჭავაძეს** (მხატვარს), **ალექსანდრე მიხეილის ძე მახარობლიშვილს** (მსახიობს) — სახელმწიფო საბავშვო თეატრის სცენაზე ლაშა სამსონაძის პიესის „ბედნიერი ბილეთის" დადგმისათვის.

**კინოხელოვნების დარგში**

**თეიმურაზ ილიას ძე ბაქრაძეს** (რეჟისორს) — სრულმეტრაჟიანი სამეცნიერო-პოპულარული ფერადი ფილმის „გამოღვიძების" შექმნისათვის.

**არქიტექტურის დარგში**

**ჯამბულ შოთას ძე ბახტაძეს, მერაბ შოთას ძე ნათაძეს, რომან იოსების ძე პავლიაშვილს, ალექსი დავითის ძე კიკნაძეს** (არქიტექტორებს) და **ნოდარ აკაკის ძე ედიშერაშვილს** (ინჟინერ-კონსტრუქტორს) — სომხეთის რესპუბლიკის ქალაქ სტეფანავანში აშენებული საშუალო სკოლისა და 140-ადგილიანი საბავშვო ბაგა-ბაღის არქიტექტურული პროექტისათვის.

**პუბლიცისტიკის დარგში**

**იური როსტს** (ჟურნალისტს) — 9 აპრილის ტრაგიკულ ღამეს თბილისში გადაღებული ფოტოდოკუმენტებისა და რეპორტაჟისათვის, რაც იმ დღეებშივე გამოქვეყნდა გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის" ფურცლებზე;

**გურამ აბრამის ძე ბათიაშვილს** (მწერალს) — პუბლიცისტური წიგნისათვის „მზე ღრუბლებში" (გამომცემლობა „ნაკადული", 1989).

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

**თენგიზ სიგუა.**

## საზღვარგარეთ

# ერთი ნაბიჯი ასეთი მსოფლიოსაკენ

[illegible]

სების საქმე, შესაძლოა მას აკლია თავისი წინამორბედის ბრწყინვალება, მაგრამ კომპეტენტურობითა და შეუპოვრობით (ზოგნი მას ზედმეტ სიფრთხილეს სწამებენ, მაგრამ ვფიქრობთ ეს პოლიტიკოსისთვის დასაფასებელი თვისებაა) ნამდვილად იმსახურებს ღრმა პატივისცემას. მივულოცოთ ახალი წელი პრეზიდენტს, მის მრავალრიცხოვან ოჯახს, იმათ, ვინც ამერიკის პოლიტიკას ახორციელებს და თავისი ქვეყნის ინტერესებს იცავს...

ამ ახალ წელს, კონფლიქტებსა და ომის პრობლემებზე საუბარი სულაც არ არის საშური საქმე,








და საყოველთაო ოპტიმიზმის ჟამს, ევროპის ხალხების სიხარული სრული არ იყო, ვინაიდან კონტინენტი, მისი შუაგული, გერმანიის სახით გახლეჩილი რჩებოდა და ცოტა ვინმე თუ წარმოიდგენდა, რომ მეორე მსოფლიო ომის მიერ დატოვებული ეს იარა, სულ მალე მოშუშდებოდა. დღეს, დროის გადმოსახედიდან ადვილია იმაზე მსჯელობა, თუ რა ფაქტორებმა განაპირობა გერმანიის გაერთიანება — დაუჯერებლად და უსაფუძვლოდ ის მოსაზრებაც კი არ ჟღერს, გერმანელმა ხალხმა თავისი ერთიანობა ფულით იყიდაო, თუმცა ახლა საბოლოო მიზნის მიღწევის საშუალებებზე მეტად, შედეგი უფრო გვაინტერესებს. ამიტომ, ერთიან და განუყოფელ გერმანიას, მის ადამიანებს ახალი წლის დადგომას მივულოცავთ...

კაცობრიობის ისტორიის ორი ყველაზე სისხლისმღვრელი ომი [illegible]როპაში დაიწყო და ამიტომაც [illegible]მაგად დიდია მისი პასუხისმგე[illegible]ობა მსოფლიოს წინაშე. დღეს

რამაც თვისობრივად ახალ საფეხურზე უნდა აიყვანოს ევროპული თანაცხოვრების სტრუქტურები. პარიზის კონფერენცია ჩვენთვის იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ამ დონის ფორუმზე პირველად იყო წარმოდგენილი საქართველო და, შეიძლება ითქვას, აქ შედგა ახალი ქართული დიპლომატიის დებიუტი. ჩვენი გაზეთის მკითხველის სახელით პარიზის კონფერენციის თითქმის ყველა მონაწილესაც მივულოცავთ ახალ 1991 წელს...

ამერიკა-საბჭოთა კავშირის უმაღლესი დონის შეხვედრები ბოლო წლებში ჩვეულებრივ, ლამის რიგით მოვლენად იქცა. 1990 წელს ორი ასეთი შეხვედრა შედგა. პირველის (მაისი-ივნისი) ერთ-ერთი უშუალო შედეგი გერმანიის გაერთიანება და მისი ნატოში გაწევრიანება გახდა, მეორე (სექტემბერი) უფრო მოკრძალებული იყო ყველა თვალსაზრისით, თუმცა კი შეავსო ამგვარ შეხვედრათა რიგი. ჯორჯ ბუშის პრეზიდენტობის შეფასება ისტორიკო-

მაგრამ რამდენიც არ უნდა გადავდოთ, სირაქლემასავით თავი ქვიშაშიც რომ დავმალოთ, ვერსად გავექცევით ერაყის მიერ ქუვეითის — აღმოსავლეთის ამ პატარა სამოთხის — ყაჩაღურ დაპყრობას. პირდაპირ უნდა ითქვას, შეიძლება უზრდელობაშიც კი ჩამოგვართვან, მაგრამ ახალ წელს ვერ მოვულოცავთ სადამ ჰუსეინსა და მის დამქაშებს (ეს სიტყვა ყოველთვის მეხამუშება და ყურსა მჭრის, მაგრამ სანაცვლოდ ამ ხალხის დახასიათებისათვის სხვაც ვერ მომიძებნია), მათ მეგობრებსა და გულშემატკივრებს მუამარ კადაფის, იასირ არაფატს, ფიდელ კასტროს, ისევე როგორც მიხეილ გორბაჩოვს, დიმიტრი იაზოვს, ანატოლი ლუკიანოვს, ალქსნის და კომპანიას, ვინაიდან დამპყრობელი ყველგან და ყოველთვის დამპყრობელია, აგრესია ყველგან და ყოველთვის აგრესიაა, როგორც არ უნდა ცდილობდნენ მათ გამართლებასა და შელამაზებას, თავისი ქმედებით ბაღდადის

რეჟიმმა ფაქტობრივად კანონგარეშედ დააყენა თავისი თავი, მაგრამ ახლა საქმე მხოლოდ მის დასჯასა და სამართლიანობის აღდგენას არ ეხება — რეგიონი და შესაძლოა მთელი მსოფლიოც (ღმერთმა დაგვიფაროს) მეტად სერიოზული საფრთხის — ფართო მასშტაბიანი შეიარაღებული კონფლიქტის წინაშე დგას, რომლის ესკალაციასაც მეტად სავალალო შედეგები შეიძლება მოჰყვეს.

რაკიღა კონფლიქტებზე ჩამოვარდა საუბარი, ერთი მცირე გადახვევის უფლებას მივცემთ ჩვენს თავს. 1988 წელს საბჭოთა კავშირ-ამერიკის საზოგადოებრიობის ჩატოკუას შეხვედრაზე ცნობილმა ამერიკელმა პოლიტოლოგმა, მაიკლ მანდელბაუმმა ყველასათვის მოულოდნელად განაცხადა, — ყველაზე სერიოზული რეგიონალური კონფლიქტი აღმოსავლეთ ევროპაში არსებობსო. საინტერესოა, რომ იმავე პერიოდში დემოკრატიული პარტიის კანდიდატმა პრეზიდენტის პოსტზე, მაიკლ დუკაკისმა ზუსტად ასევე შეაფასა ევროპის აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობა. მეცნიერი და პოლიტიკოსიც ერთსულოვანნი იყვნენ იმაში, რომ ამ კონფლიქტის მოწესრიგება მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი, როდესაც საბჭოთა კავშირი უარს იტყვის ე. წ. „შეზღუდული სუვერენიტეტის“ დოქტრინაზე და ამ რეგიონის ხალხებს თავისუფალი განვითარების შესაძლებლობას მისცემს. მას შემდეგ ზუსტად ორი წელი გავიდა და დღეს უკვე აღარავინ ახსენებს აღმოსავლეთ ევროპაში კონფლიქტის არსებობას, თუმცა ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით იქ მდგომარეობა საკმაოდ რთულია, მაგრამ ეს უკვე სხვა მიზეზებით ხდება. მაიკლ მანდელბაუმის და მაიკლ დუკაკისის ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, ჩვენ კი ვიზიარებთ მათ შეხედულებებს, ამჟამად ყველაზე კონფლიქტური რეგიონი საბჭოთა კავშირია, რომლის შექმნისას ტერიტორიული გადანაწილებით და მრავალრიცხოვანი ავტონომიების დაარსებით ბოლშევიკებმა იმდენი „შენელებული მოქმედების“ ბომბი აამოქმედეს, რომ მხოლოდ მათი სრული უვნებელყოფის შემთხვევაში გაუჩნდება ცივილიზებულ სამყაროს მშვიდად ძილის პირობები. მოსკოვმა, უწინარეს ყოვლისა კი დასავლეთმა, უნდა შეიგნოს, რომ მხოლოდ იმპერიის დაშლა გაკვალავს გზას მშვიდობიანი მომავლისაკენ. დასავლეთმა თავის მხრივ ისიც უნდა გააცნობიეროს, რომ მას ყველაზე დიდ საფრთხეს უქადის არა მითიური, მხოლოდ კრემლის ავადმყოფურ ფანტაზიაში არსებული „თხუთმეტი ბირთვული რესპუბლიკა“, არამედ ის საზარელი ურჩხული, რომლის ოდიოზურ, ყავლგასულ სახელწოდებას „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი“ მოსკოვი ვერა და ვერ შელევია. თუმცა, ჩვენ რამდენადმე გადავუხვიეთ საუბრის თემას.

დღევანდელ სიტუაციას მსოფლიოში ბრწყინვალედ მიესადაგება ქართული ნათქვამი — „დრონი მეფობენ და არა მეფენი“. წარმოიდგინეთ, ქვეყნის პრეზიდენტი ხდება ყოფილი დისიდენტი და მუშა ლეხ ვალენსა, ხოლო „რკინის ქალბატონი“, მეოცე საუკუნის დიდი ბრიტანეთის რეკორდსმენი პრემიერი მარგარეთ თეტჩერი ტოვებს რეზიდენციას დაუნინგ სთრითზე, ქვეყნის პრეზიდენტად ირჩევენ გაზეთის გამომცემელს და გამომცემლისვე ქვრივს ვიოლეტა ბარიოს დე ჩამოროს, ხოლო ბოლო წლების საბჭოთა და მსოფლიო დიპლომატიის ერთ-ერთი ლიდერი ედუარდ შევარდნაძე ტოვებს აქტიური პოლიტიკის სარბიელს (ყოველ შემთხვევაში, ჯერ-ჯერობით). ამ სიის გაგრძელება, რა თქმა უნდა, კიდევ შეიძლება, მაგრამ ვფიქრობთ, საკმარისია, ვინაიდან, როგორც დასავლეთში იტყვიან ხოლმე, სწორედ მათზე ლაპარაკობდნენ, მათი სახელები და ფოტოები არ სცილდებოდა პრესის ფურცლებს. ახლა ერთნი გამარჯვებულნი შეხვდნენ 1991 წელს, მეორენი დამარცხებულნი. მაგრამ, მოდით, ახალ წელს მათ ნუ გავაცალკევებთ.

მივულოცოთ ახალი წელი მსოფლიოს ხალხებს, იმ პოლიტიკოსებს, რომელთაც შარშან ბევრი არაფრით გამოუჩენიათ თავი და შესაბამისად არც მათი სახელები გვიხსენებია. მივულოცოთ იგი ყველას, ვინც თავისი ერის სამსახურში დგას და მისი ბედნიერებისათვის იღვწის, მივულოცოთ და ვუსურვოთ, რომ დედამიწაზე მუდმივმა მშვიდობამ დაისადგუროს, რომ აღარ იყოს არც ერთი რეგიონალური კონფლიქტი, არ იყოს კაცის კვლა და უბედურების მომტანი გაუთავებელი ომები. იქნებ ყველა წინასწარმეტყველების მიუხედავად 1991 წელს კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგას ასეთი მსოფლიოსაკენ.

**გიგა ბურდული.**

## კასპაროვის წერილი

**გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ 18 ნოემბერს გამოაქვეყნა გარი კასპაროვის შემდეგი წერილი:**

ვწერ იმათი სახელით, ვინც საბჭოთა კავშირში დემოკრატიისათვის იბრძვის, მაგრამ არა აქვს საშუალება დასავლეთს გააცნოს თავისი შეხედულებები. პრეზიდენტი მ. გორბაჩოვი მოითხოვს შეთანხმებას კრემლსა და რესპუბლიკებს შორის, რომელიც „სამოკავშირეო ხელშეკრულების“ სახელით არის ცნობილი. დასავლეთი არ უნდა მოტყუვდეს ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. სამოკავშირეო ხელშეკრულება, თუმცა ეს კავშირი არ არის თანასწორთა თანხმობის საფუძველზე შექმნილი კავშირი, როგორც ამას პრეზიდენტი გორბაჩოვი ამტკიცებს, ფაქტობრივად საბჭოთა იმპერიისა და კომუნიზმის გადარჩენის ბოლო ცდაა.

რესპუბლიკის უზენაესი საბჭოები, რომელთაც ამ ხელშეკრულების რატიფიკაციას შესთავაზებენ, ბევრგან არც დემოკრატიული და არც თავისუფალი არჩევნების შედეგად არ აურჩევიათ. გორბაჩოვი უკვე იყენებს თავის ფართო საპრეზიდენტო უფლებამოსილებებს სახალხო დემონსტრაციების დასარბევად, რომლებიც ამ ხელშეკრულების წინააღმდეგ პროტესტს აცხადებენ. სამოკავშირეო ხელშეკრულება იქნება არა ხალხის ნების გამოხატულება, არამედ რეპრესიული გადაწყვეტილება, რომელსაც რესპუბლიკებსა და დემოკრატიულ მოძრაობებს თავს მოახვევენ.

საბჭოთა კავშირის ხალხების ინტერესებს ყველაზე უფრო შეესაბამება დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოების შექმნა. დასავლეთმა უნდა გადაწყვიტოს, ვის დაუჭერს მხარს — ჩაგრულებს თუ მჩაგვრელებს.

სამოკავშირეო ხელშეკრულება წარმატებას მოუტანს არა ჩაგრულებს, არამედ მეორე მხარეს.



ეს სურათი 1988 წელს არის გადაღებული. მას შემდეგ ინდაური, რა თქმა უნდა, ძალიან გაძვირდა და ვინ იცის, პენსიაზე მყოფ პრეზიდენტს... თუმცა, რონალდ რეიგანს ყოველთვის „ბოროტების იმპერიის“ პრობლემა უფრო აწუხებდა. დღეს ამერიკის მე-40 პრეზიდენტს შედარებით მშვიდად შეუძლია ყოფნა— მან პირნათლად შეასრულა თავისი ვალი და თუ დღეს კომუნიზმი სულს ლაფავს, ამაში მას ძალზე დიდი წვლილი მიუძღვის.

და მაინც, საინტერესოა, რას ეუბნება იგი თავის თანაშემწეებს. შესაძლოა, პიპინიას პერის ყურის არ იყოს, ფრთას უწონებს ამ კეთილშობილ ფრინველს.

# რას გვიქადის გაისი?

**1991 წელი** ჩინური კალენდრით თხის წლად ითვლება. იგი, ალბათ, კეთილისმყოფელი იქნება ამ წელს დაბადებულთათვის. მაგრამ ნურც თქვენ დაღონდებით, ვერძებო: იაპონური კალენდრით 1991 წელი თქვენია.

ძველად ადამიანები თავიანთი ცხოვრების მოვლენებს უკავშირებდნენ ციური სხეულების მოძრაობას, წელიწადის დროთა ცვლას, დღესა და ღამეს, მოქცევასა და მიქცევას... მათ შენიშნეს, რომ ბევრი მოვლენა გარკვეული პერიოდულობით მეორდება: დღე-ღამის, წლის, 12 წლის პერიოდულობით და ა. შ. ზოდიაქოს ნიშნების აღმოსავლური სისტემა დაკავშირებულია ბუნების მოვლენათა მერყეობის 12-წლიან ციკლთან.

ერთ-ერთი აღმოსავლური ლეგენდა, რომელიც ზოდიაქოს ნიშნების აზრს გვიხსნის, გვეუბნება, რომ ახალი წლის დადგომის წინ ბუდას დედამიწის ყველა ცხოველი მოუწვევია და დაჰპირებია, რომ მათ სახელს უწოდებდა წლებს. მოვიდა მარტო 12 ცხოველი: თაგვი, კამეჩი, ვეფხვი, კურდღელი, დრაკონი, გველი, ცხენი, ვერძი, (თხა), მაიმუნი, მამალი, ძაღლი და ტახი. ცხოველებმა ნაჩუქარ წლებს თავიანთი ხასიათის ნიშნები მიანიჭეს.

ამრიგად, იმის მიხედვით, თუ რომელ წელს დაიბადა ადამიანი, შეიძლება განვსაზღვროთ მისი ხასიათი, სუსტი და ძლიერი მხარეები, ვუწინასწარმეტყველოთ მომავალი.

როგორები არიან „თხები“? ამ წელს დაბადებულნი—მეოცე საუკუნეში კი თხის წლები იყო 1907, 19, 31, 43, 55, 67, 79 და 1991—ერთდროულად დამთმობნი და ჯიუტნი არიან. აქვთ ხელოვნების ნიჭი. ერთი შეხედვით ყველაფერი უკეთ მიუდით, ვიდრე სხვებს, მაგრამ ამას მორჩილებით და ადამიანებისადმი და გარემოებებისადმი შემგუებლობის უნარით აღწევენ...

აი, დადგა ახალი წელი, და ჩვენც დედამიწის ცხოვრებაში ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას ვულოცავთ და ყოველივე სიკეთეს ვუსურვებთ ადამიანებსაც და ცხოველებსაც!

**სურათზე:** ცხოველთა სამყაროს წარმომადგენელი, რომლის სახელიც ეწოდება 1991 წელს (ჩინური კალენდრით) „გამეფების“ საზეიმო ცერემონიისთვის ემზადება.

საქპრესის ფოტოქრონიკა.



# ექიმებენ მშვენიერ ქართველებს

**მცირერიცხოვანი** ერისთვის, მითუმეტეს თუ ის უკიდეგანო იმპერიაშია დანთქმული, ყოველთვის სასიამოვნოა უცხოეთისა და უცხოელების მხრიდან ყურადღება და დაინტერესება. ყველასთვის კარგად არის ცნობილი, რომ ასეთ მისწრაფებას ძირშივე ჰკვეთდნენ ფრთებს, რათა ბოლომდე მიჩქმალულიყო „ძმურ კავშირზე“ ნაძალადევად მიჯაჭვული ქვეყნების განუმეორებელი ინდივიდუალურობა და თვითმყოფადობა.

ეს ნათელი ხდება უცხოელთან ურთიერთობისთანავე — როდესაც ამერიკელი თუ ფრანგი საქართველოს ისტორიისა და კულტურის გაცნობისას, გაკვირვებას ვერ დამალავს, ისინი ახალი „აღმოჩენის“ მოწმენი ხდებიან, ჩვენ კი იმედით აღვსილნი ვფიქრობთ, რომ დღეს თუ არა ხვალ მაინც, ჩვენი ქვეყანა უსათუოდ დაიმკვიდრებს საკადრის ადგილს ცივილიზებული მსოფლიოს თვალში, რომელიც ძალით დაგვაკარგვინეს.

იმედის ნაპერწკალს ისეთი ურთიერთობებიც აღვივებენ, რომელზეც ახლა გვინდა გაუწყოთ...

რედაქციაში წერილი მივიღეთ რუმინეთიდან, — ჟურნალ „სპუტნიკის“ საერთაშორისო განყოფილების გამგე, ვ. ერინი გვთხოვს, დახმარება აღმოვუჩინოთ მათი ჟურნალის ამერიკელ მკითხველს კილიკკი კოლინზს, რედაქციის თხოვნას თან ახლავს მისი წერილი „სპუტნიკისადმი“, სადაც ვკითხულობთ: „...უჩვეულო თხოვნა მაქვს თქვენთან — მე კარგად ვხვდები, რომ გაგიჭირდებათ მისი შესრულება, მაგრამ მაინც გთხოვთ. 1990 წლის აპრილში რუმინეთში მოგზაურობისას, შემთხვევით შევხვდი საქართველოდან ჩამოსული ტურისტების მშვენიერ ჯგუფს. ისინი იყვნენ ძალზე მეგობრულები. ჩვენ გვინდოდა დიდხანს გვესაუბრა ერთმანეთთან, მაგრამ მათ ავტობუსი ელოდებოდა და ამიტომ ჩქარობდნენ. ასე იყო თუ ისე, ვერ მოვასწარი მათი სახელებისა და მისამართების გაგება. მოვასწარით მხოლოდ რამდენიმე ფოტოსურათის გადაღება. ერთ მათგანს გიგზავნით და გთხოვთ, იქნებ მოახერხოთ მისი დაბეჭდვა ქართულ გაზეთში, იმედია, რომელიმე მათგანი გამოგვეხმაურება. მე ძალიან მინდა კვლავ შევხვდე ამ ადამიანებს. შეიძლება საქართველოშიც. თუ ეს არ მოხერხდება, მიმოწერითაც კმაყოფილი ვიქნებით...“.

ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ ვთხოვოთ ფოტოზე აღბეჭდილ ქართველებს, კონტაქტი დაამყარონ ამერიკელ კეთილმოსურნესთან. სხვა რომ არაფერი, კიდევ ერთ უცხოელს მაინც გავაცნობთ ჩვენს ლამაზ ქვეყანას..



**რედაქციისაგან:** „მშვენიერ ქართველებს“, ვთხოვთ მობრძანდნენ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციაში ამერიკელ[illegible]საგებად.

## [illegible] კალეიდოსკოპი

**ჰელსინკი.** 1990 წლის რომელი ამბები მიაჩნიათ ფინელებს ყველაზე მნიშვნელოვნად? პოპულარული საღამოს გაზეთის „ილტა-სანომატის“ მიერ მოწყობილი გამოკითხვით თუ ვიმსჯელებთ, ნომერ პირველი მოვლენაა კრიზისი სპარსეთის ყურეში. მეორე ადგილზეა გერმანიის გაერთიანება, მესამეზე — სსრ კავშირის ეროვნებათშორისი ურთიერთობის პრობლემების გამწვავება.

პირველ ათეულში დაასახელეს კიდევ რამდენიმე მოვლენა, რომლებიც ასე თუ ისე უკავშირდება საბჭოთა კავშირს. გამოკითხვამ ცხადყო, რომ ფინელები ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს მეზობელ ქვეყანაში შინაპოლიტიკური ვითარების განვითარებას. ფინელთა ფრიად დადებითი შეფასება მიიღო სექტემბერში ჰელსინკში გამართულმა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტების შეხვედრამ. გამოკითხვის შედეგებით შედგენილ შკალაში პრიორიტეტების მეშვიდე სტრიქონი უჭირავს მოვლენებს, უფრო ზუსტად, მოვლენათა მთელ სერიას, რომლებმაც, პირიქით, მხოლოდ უარყოფითი ემოციები გამოიწვია. ეს არის ერთ წელიწადში ფინეთში ოთხი საბჭოთა სამგზავრო თვითმფრინავის გატაცება. გარდა ამისა, ათეულში მოხვდა კიდევ ერთი მოვლენა მინუს ნიშნით — სასურსათო კრიზისი სსრ კავშირში.

**პეკინი.** ჩინეთში ქალაქების რიცხვი გასულ წელს ჩვიდმეტით გაიზარდა და 467-ს მიაღწია. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამოქალაქო ადმინისტრაციის სამინისტროს წარმომადგენლის ჯან ვენფანიას განცხადებით, იუწყება გაზეთი „ჟენმინ ჟიბაო“, დიდი დასახლებული პუნქტებისათვის ქალაქების სტატუსის მინიჭება მიმდინარე წელს ხდებოდა შარშანდელის ანალოგიური ტემპით.

**პეკინი.** „საახალწლო ხეირნობისათვის მოიმზადეთ ყველაზე თბილი ტანსაცმელი“, ურჩევენ პეკინელი სინოპტიკოსები, რომელთა წინასადღესასწაულო პროგნოზი გამოაქვეყნა გაზეთმა „ჩაინა დეილიმ“. ვარდისფერლოყება ახალშობილი, წინასწარმეტყველებენ ისინი, 1 იანვარს ჩინეთის დედაქალაქის მცხოვრებლებს მოუტანს „ციმბირულ საჩუქარს — სუსხიან სიცივეს“. მოელიან, რომ ტემპერატურა დაეცემა მიმდინარე სეზონში უმდაბლეს ნიშნულამდე — მინუს 18 გრადუსამდე ცელსიუსით, ამასთან ჩრდილოეთიდან ამოვარდება ექვსბალიანი, ძვლებამდე რომ ატანს, ისეთი ქარი. პეკინის მეტეოროლოგიური ობსერვატორია ჰპირდება აგრეთვე მსუბუქ თოვლს — პირველს ამ ზამთარში. ოთხშაბათს, 2 იანვარს, პეკინს ცა ცოტა ხნით მოიწმინდება, მაგრამ კვირის მიწურულს ქალაქს თავს დაატყდება ცივი ჰაერის მასების განმეორებითი ტალღა. რამდენ ხანს გაყინავს იგი პეკინელებს, რომელთაგან ბევრი ზამთრის ღამეებს დასაკეც საწოლებზე ატარებს, რომლებიც მჭიდროდ არის მიდგმული ქვანახშირის ბრიკეტებით გახთბობი თუჯის „ღუმელის“ ირგვლივ — სინოპტიკოსები ვერ წინასწარმეტყველებენ.

**ლონდონი.** სულ ცოტა 33 კაცი გარდაიცვალა ამ ბოლო ორი კვირის მანძილზე სალვადორის დასავლეთ დეპარტამენტში სონსონატში შინგამოხდილი სპირტის შედეგად, ეს სასმელი, მიღებული ცნობების თანახმად, იწვევს ჯერ კუჭის მკვეთრ ტკივილს, შემდეგ კი, კონვულსიებს. სიკვდილი ზოგჯერ ერთ საათში ხდება, იუწყება სან-სალვადორიდან საინფორმაციო სააგენტო რეიტერი. პოლიციის მონაცემებით, ალკოჰოლის ტიპს ამჟამად ადგენენ, ხოლო მას ჰყიდდნენ ბრენდის სახით.

**პეკინი.** ჩინეთის სიჩუანის სამხრეთ-დასავლეთ პროვინციაში წარმოებს ნამდვილი ომი... თაგვების წინააღმდეგ. მარტო პროვინციის ერთ-ერთ მაზრაში, მეცნიერთა გამოანგარიშებით, ბინადრობს 600 მილიონზე მეტი თაგვი, რომლებმაც, როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, მოსპეს 800 ათასი ჰექტარი მოსავალი.

ადგილობრივმა სპეციალისტებმა შეიმუშავეს მღრღნელებთან ბრძოლის ტექნოლოგია, რომელიც ითვალისწინებს მათს ბუნებრივ ქცევას. განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად წლეულს გადაარჩინეს 200 ათას ტონამდე მარცვლეული.

სულ ჩინეთში, სააგენტოს თქმით, თაგვებმა დააზიანეს 80 მილიონ ჰექტარზე მეტი ყანები. ამის შედეგად მოსავლის ყოველწლიური დანაკარგები მარცვლეულის საერთო წარმოების 5-10 პროცენტს აღწევს.

## ხსოვნა

# ...ისევ ჩვენთან არის!



## მერაბ კოსტავას არაპოლიტიკური პორტრეტი

**„სიზმრად ვიყავ,**
**შემომესმა ნაცნობი ხმები წარსულის**
**შევიცან ზარის რეკვის დიადი ჰანგი.**
**ბრძანე, რა დრო გავიდა მას შემდეგ?“**

...ვენერას გამოქვაბული. ფართო ხეობა იკარგება სცენის სიღრმეში. მარჯვნივ უსაზღვრო სივრცეა. კამკამა ტბაში ბანაობენ ვაკხელები, ნაპირზე სირინოზები წვანან. ვარდისფრადაა განათებული ხეობა. შუაში ცეკვავენ ნიმფები, გორაკებზე მიჯნურები ჩამომსხდარან. ვაკხანალია, სირინოზთა გუნდი აჯადოებს სმენას: „მოცურდით ჩვენკენ, მოცურდით ჩვენკენ...“.

უეცრად ყველაფერი მიყუჩდება, ვაკხის ქალები გაუჩინარდებიან, თანდათან ნისლი ჩამოწვება და მოჩანს მხოლოდ გამოქვაბულში ნამოწოლილი ვენერა და მის წინაშე მუხლმოყრილი ვაჟი... ახლადგამოღვიძებული ვაჟი შეეკითხება მას: „რა დრო გავიდა მას შემდეგ?“ — ანუ რაც იგი ტყვეობაშია, სიყვარულის ტყვეობაში და თავის სიმღერით ატკბობს ქალღმერთს.

**„მგოსანო, გთხოვ!**
**მომართე შენი ჩანგი,**
**აჟღერე ტრფობა,**
**რასაც გრძნობით უმღერდი,**
**რითაც შენ ტრფობის ღმერთი მოაჯადოვე“.**

ასე იწყება რიჰარდ ვაგნერის „ტანჰოიზერი“ (თარგმანი ვაჟა გვახარიასი), რომლის ხილვაც ქართულ სცენაზე მერაბ კოსტავას ოცნება იყო! ვინ იცის, ამ ოცნებას სწორედ მისი სახელობის ლიტერატურულ-მუსიკალურ ეროვნულ თეატრში უწერია ახდენა? იქნებ ქართულადაც, საუკუნის დასაწყისში „ქართულ ენაზე ოპერების დადგმის ამხანაგობის“ მიერ განხორციელებულ „ფაუსტის“, „დემონის“, „კარმენის“, „აიდას“, „რიგოლეტოს“... და „სევილიელი დალაქის“ კვალობაზე.

და ისიც ჩვენთან იქნება, რადგან ტანჰოიზერში, ამ თავდავიწყებულ მინეზინგერსა და მიჯნურში, ალბათ თავის ორეულსაც ხედავდა.

...ის ახლაც ჩვენთან არის თუნდაც ლექსებით, რომლებშიც გამჟღავნებულია მისი რაინდული, ქართული სული.

მაგრამ ლექსებზე უადრეს ერთი წერილი მინდა გავიხსენო, წერილი ცხენზე, რომელიც 1975 წელს გამოაქვეყნა „ლიტერატურულ საქართველომ“ და ლექსივით ჩამრჩა მეხსიერებაში.

„...რა შეედრება ჯიშიანი, ნაკეთად კვეთილი ბედაურების ჭრეტას, დიდრონი, ჭკვიანი, მიმნდობი თვალები, მაღალი მწყობრი ჰაეროვანი წვივები. ამაყად აზიდული, მასიური მკერდი, მოღერილი კისრის მტკიცე ბალავერი, მჭიდროდ შეტკეცილი, კუნთთა ზამბარებში მომწყვდეული მუცელი, სისხლძარღვების მოუსვენარი ტოკვა მოლივარე კანქვეშ, თითქოს ქალური გულმოდგინებით ვარცხნილი ფაფარი“.

მაშინ ალბათ ორიოდე ახლობელმა თუ იცოდა, რომ მერაბ კოსტავა პოეტიც იყო, მაგრამ ამ წერილში გამოკრთა პირადად ჩემთვის მისი პოეტური სული, საცნაური გახდა მისეული ესთეტიკა, შემდეგ ასე ლამაზად რომ წარმოჩნდა პოეზიაში, რომელსაც მხოლოდდამხოლოდ სიკვდილის შემდეგ ვეზიარეთ. ამ ლექსების კვალობაზე იგი ბარათაშვილის სულიერ ნათესავად მესახება და ამდენად აღარც ბაირონისადმი ლტოლვაა გასაკვირი, რადგან ბუნებით რომანტიკოსიც და მეამბოხეც, იგი ლიტერატურაში და ხელოვნებაშიც რომანტიკოსების გვერდით უკეთ გრძნობს თავს, ზედმიწევნით ესმის მათი პოეტური თუ მუსიკალური ენა. ახლახან გამოქვეყნდა ჟურნალ „ხელოვნებაში“ (№ 5, 6, 7) სადიპლომო ნაშრომი, ტოლფასი სადისერტაციო შრომისა, 1965 წელს რომ დაუწერია (ფორტეპიანოს ფაკულტეტის მესამე კურსიდან იგი მუსიკისმცოდნეობაზე გადავიდა და 1964 წელს დაამთავრა კონსერვატორია) — „ბაირონი დასავლეთ ევროპის სიმფონიურ მუსიკაში“; ბაირონი, რომლის

ბაირონიც თავისუფლების ხორციელი განსახიერებანი არიან და მერაბსაც ასეთად მიაჩნდა თავი:

**„ვით ხატი ჩემი, სიძნელეებს**
**არ ეპუება,**
**მიელტვის ახალს, ნაცვლად**
**ძველის, ნაცვლად ყოფილის,**
**აზრი, სიტყვა და მოქმედება**
**ჩემი ერთია.**
**თავად ერთი ვარ ვით მეუფე**
**და გამგებელი,**
**გამოუთქმელი, ერთადერთი**
**მხოლოდ ღმერთია,**
**საპირისპირო საწყისების**
**მაერთებელი“.**
**(„ბიბლიური**
**რემინისცენციები“).**

„ბაირონის შემოქმედებამ მსოფლიო ლიტერატურის კვალდაკვალ დიდი წვლილი შეიტანა მუსიკალურ ხელოვნებაშიც. მუსიკალური „ბაირონიანა“ განცალკევდა როგორც მთელი მიმართულება, როგორც აქტიური მოძრაობა ევროპის მუსიკალურ ცხოვრებაში. ბაირონის „მთარგმნელები“ მუსიკის ენაზე იყვნენ ისეთი დიდოსტატები, როგორიცაა შუბერტი, შუმანი, ბერლიოზი, ლისტი, როსინი, ვერდი, ჩაიკოვსკი, მუსორგსკი და სხვა.

ეს არასრული ნუსხა ნათელ წარმოდგენას გვაძლევს მუსიკალურ „ბაირონიანაზე“ და მის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობაზე“.

იქვე აღნიშნავს, რომ ბაირონის პოეტურმა სახეებმა თითქმის ყველა მუსიკალურ ჟანრში ჰპოვეს თავისი ორეული, მაგრამ აქ ყურადღებას ამახვილებს მის გავლენაზე დასავლეთ ევროპის რომანტიკულ სიმფონიზმზე (კერძოდ, განიხილავს ბერლიოზის სიმფონიას „ჰაროლდი იტალიაში“ და შუმანის უვერტიურას „მანფრედი“).

ასე რომ, მისთვის ბარათაშვილი ბარათაშვილობდა და ბაირონი ბაირონობდა; ამიტომ ჰგავს ხოლმე მერანზე ამხედრებულ, მოძმისთვის თავგანწირულ მხედარსაც და უკიდეგანო სივრცეებით გატაცებულ ჩაილდ ჰაროლდსაც. სრულყოფილ რაინდულ ხატს კი ალბათ იგი მაინც წმინდა გიორგის არსებაში ხედავს.

...ცხრანი იყვნენ, ჯერ კიდევ მეათეკლასელებმა იწვნიეს ციხის სუსხი 1957 წლის აპრილში. მაშინ უწლოვანებამ იხსნა „გორგასლიანნი“ — ასე ერქვა არალეგალურ იატაქქვეშა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ორგანიზაციას, რომლის სულისჩამდგმელები იყვნენ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა. მაგრამ არა, არც ერთი მათგანი აღარ იყო „მცირეწლოვანი“ — მათ იცოდნენ, რომ ბოლომდე უნდა ებრძოლათ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის და კიდეც მისდიეს ამ რწმენას ეკლიანი გზით. შემდეგ მას შეემატა უფრო ზოგადი იდეა— ადამიანის უფლებათა დაცვისა, რამაც საერთაშორისო გამოხატულება ჰპოვა ჰელსინკის კავშირის ხელშეკრულებაში.

ამ კავშირის დამაარსებლებიც საქართველოში ისევ და ისევ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა იყვნენ 1976 წელს, ერთი წლის თავზე თვით ჰელსინკში დადებული ხელშეკრულებისა მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოთა შორის, რომელიც საერთაშორისო სამართლის საფუძველზე ახალი ჰუმანური ერის დასაწყისის იმედს იძლეოდა. 1977 წლის აპრილში კი ორივენი დააპატიმრეს.

„...შენ განსაკუთრებით უნდა მოუარო თავს და დამხვდე მრთელი და უვნებელი. ჩემზე ნუ იდარდებ, ყველაზე ნაკლებ განსაცდელში მე ვიმყოფები. ჩემთვის ციხე გართობაა და ცხოვრების შემეცნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დეტალი. წელიწადის ეტლი ორგზის შემობრუნებასაც ვერ მოასწრებს, რომ ჩვენ ხანგრძლივი ხილვის შესაძლებლობა მოგვეცემა ჩემი გასახლების ადგილზე. ნუ გეშინია, დრო სადოლე ბედაურივით გაირბენს თავის სარბიელს. ვეცდები მჭიდროდ ავეკრა უნაგირს მისას და მტკიცედ ვიპყრა ხელთ მისი სადავეები, რათა არ მიმუხთლოს და ფლოქვებქვეშ არ მომიყოლოს მის მარულა-

„მე რაზმელი იმედის კარიბჭეთა მაძიებელი“, — წერდა დედას.

მართლაც, პატიმრობამ ვერ მოტეხა მერაბ კოსტავას სული და ნებისყოფა. ქედუხრელობისათვის ხუთი წელი მას ათ წლად ექცა, მარტოდმარტო დარჩენილი დედა კი თავს მისი შეგონებით იმხნევებდა: „კარს ნუ გაუღებ ამაო დარდებს. ერიდე მაგ ვერაგსა და არამკითხე სტუმარს, ვინძლო გული ჟანგივით არ ამოგიჭამოს“.

„როდესაც 1981 წელს პირველად დაუმატეს წლები ციმბირში, „სასამართლოზე“ განაცხადა: „თქვენ ისე მექცევით, როგორც რუსეთი ექცევა საქართველოს“ და გამოაცხადა უვადო შიმშილობა, ვინაიდან ახლობლებთან შეხვედრის უფლებაც წაჰგვარეს“, — ეს მისი სიყრმის მეგობრის ზვიად გამსახურდიას სიტყვებია.

შიმშილობამ წელიწადსა და თვენახევარს გასტანა, სიკვდილის პირამდე მისული რაღაც სასწაულით გადარჩა — ერთი დღეც და ველარ გაატანდა. ისევ სამხრეთმა უშველა — მაშინ ტაშკენტში გადმოიყვანესო, — მითხრა დედამისმა, ქალბატონმა ოლღა დემურიამ. იმ უმძიმეს მდგომარეობაში დაუწერია პოემა „შიმშილობა“, მერვე თვეს, „ნახევრად ამოხდილ სულით, ერთთავად ჩონჩხადქცეულს“...

ხმა იდუმალი ამხნევებდა: „ასპიტსა და ვასილისკოსა ზედა ხვიდოდე და დასთრგუნო ლომი და გველი“.

ღვთის ნებითა თუ დედის ვედრებით გადარჩა...

**„სიკვდილის პირად ვიყავ**
**წუხელის**
**მაგრამ გაბრუნდა, მომწყდა**
**ძლეული“...**

სამგზის იყო წარდგენილი ნობელის პრემიაზე ადამიანის უფლებათა დაცვის თავდაუზოგავი ქადაგი. სამჯერვე „აცდა“ მავანთა და მავანთა წყალობით., იქნებ კიდევ ელოდება მის სახელს ეს მსოფლიო პატივი?

...მაინც გამოერია ამ პორტრეტში „პოლიტიკური მოტივი“. ...სხვანაირად. ალბათ არც შეიძლებოდა, რადგან მერაბ კოსტავას ცხოვრება, მისი მოღვაწეობა და პოეზია ერთიანად საქართველოს ბედთან და ადამიანის ადამიანურ ბედთან არის დაკავშირებული.

...რამდენი ტანჯვა გადაიტანა და მაინც ელირსა სამშობლოს. თითქოს ციმბირული თოვლი ჩამოყვაო, მთლად თმაგადაპენტილი დაბრუნდა ტოლებში ისედაც ნაადრევი ჭაღარით გამორჩეული. დედასთან გულმხურვალე შეხვედრის შემდეგ ათონის მთიდან ივერთა ღვთისმშობლის ხატის ჩამოსვენება იყო მისთვის უნეტარესი გრძნობა. ეს იყო საბოლოო სიხარულიც... რამდენი რამ მოასწრო მან, 50 წლის ვაჟკაცმა, სულ მცირე დროში— 1987-ის აპრილიდან 1989 წლის 13 ოქტომბრამდე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უწმინდესი საქმისათვის და რა ტრაგიკულად აღესრულა!

უბედური შემთხვევა?

განა ცოტა უბედურება შეხვდა აქამდე?

ბედისწერა! აღარ დაემორჩილა სადავეები.

სიმბოლურია მაინც მისი სიკვდილი გზაში...

...სიცოცხლისათვის 50 წელიც კმარაო, — უთქვამს 26 მაისს, თავის დაბადების დღეს. იარად დააჩნდა დედის გულს ეს სიტყვები...

**„ქარდაქარ, ქარდაქარ,**
**ქარდაქარ**
**იქროლე თეთრკავშა მერნებით.**
**მიღმეთში ისე ვერ გადახვალ,**
**ჯვარცმულის წვეთ თუ**
**არ ვნები“...**

ასე ამთავრებს იგი ლექსს „ვინ იცის“...

...ვინ იცის, რას ფიქრობდა ბოლო წუთებში...

...ვიდრე საქართველო საქართველოობს, ისევ ამ სოფლის მკვიდრია იგიც...

ამიერიდან ნაპოვნ ყოველ უცნობ ხელნაწერში კი ახლებურად გამჟღავნდება მისი წმინდა ქართული ბუნება, ახლებურად აჟღერდება მისი ჩანგი.

**ნანა ღვინეფაძე.**

**მერაბ კოსტავა**

**ანა კალანდაძეს**

ცად მეგულები, ანგელოსთა თანა,
ჰანგთა დედოფალო, საკვირველო ანა!
ყვავილთ ალსარება, ქარის იავნანა,
მოგვმადლე ნიადაგ, სანატრელო ანა!
სერაფიმთა დასის უკვდავო ოსანნა,
ჰანგთა დედოფალო, საოცნებო ანა!

●

მჭვირვალ ეთერში ალილო ტანო ოსტატის
ჩვილ გუგებიდან აელვარდი ვით უკვდავება,
შენი ლოცვები სიროზაა ანგელოსთათვის
შენი ცრემლები ზეცის ლაჟვარს ეთავთავება.
და სული შენი, მზის აპრილი და ათინათი
ფერმკრთალ ლაწვებზე მოშლიმარე უცხო ღვთაება,
ჰოდა, აღდგომავ და ტრაპეზო ანგელოსთათვის,
იარებიდან მომსკდარ სისხლის მწვავს მოზღვავება.

●

ის იყო მოყმე, მეოხ ექმნა ძალი ზენარი,
და მისთა თვალთა უყირმიზა სასძლო კენარი.

სასძლომ კენარმან იყვავილა ყმისა ეულის,
თაკარა ელვა მჭმუნავ თალხში გამოხვეული.

უძველეს ბაღჩის ბინადარი, ზრდილი აზიზად,
აწ ქარაშოტში მშთენი შოლტად უსურვაზისად.

მიირქვა ვაჟმან ამუტრიბა ზმა სიმწყაზრისა,
და წყაროსჩინად აჩუხჩუხა, აოაზისა.

## დაუმთავრებელი ლექსი

(ვარიაცია)

ქართულო ცაო, სილურჯეში სწორუპოვარო
ოქროს საწმისო და ღრუბლების თეთრო კრაველო,
სოფლად უგზოო ხეტიალში მე უპოვარი
მო, მომიძიე, ანგელოსო ჩემო მფარველო.

როს კაბადონზე უკრობ ცეცხლად ავარვარდები,
იმ თვალუწვდენელ უფსკრულეთში ვით გასახელო,
შენ გიკრეფია ანთებული ზეცად ვარდები.
შენ შემივრდომე მე ცოდვილი და უსახელო.

გულს დამიკრიფე გარდაცვლილი ჩემი ხელები
მკვდარი თვალები დამიხუჭე მჭვირვალე ფრთებით,
ოკეანეთა შორეთიდან თეთრი გედები
ლაჟვარდის ტბაზე გააქანე იალქნივით.

მიირქვი ჩემი გულისცემა, ოხვრა მალული,
საწუთროების ტვირთმრავლობით დანამძიმევი,
ცოდვებით სავსე ვაშკარანი და სინანულის
უმანკო ცრემლი, მარგალიტად ანამძივები.
ოკეანეთა შორეთიდან თეთრი გედები
ლაჟვარდის ტბაზე გააქანე იალქნივით
განწმენდის წვიმად მომაპკურე ცრემლის წვეთები
და ზედაპირზე დამარწიე წმინდა ქნარივით

ქართულო ცაო, შემოდგომის გშვენის წუხილიც...

## ხიდი

# სიურპრიზი ვენიდან

**ამ დღეებში** რედაქციამ საქართველოს კულტურის ფონდიდან უჩვეულო საჩუქარი მიიღო, მათ შობა-ახალწლიწადი შესანიშნავად გამოცემული დიდი ფორმატის მხატვრული კალენდრით მოგვილოცეს. „ახალგაზრდა ქართველი მხატვრები“, ასე ჰქვია ვენაში დასტამბულ კალენდარს, სადაც თორმეტი ქართველი მხატვრის ნამუშევართა რეპროდუქციაა წარმოდგენილი. ესენი არიან: ლევან ჭოლოშვილი, გიორგი მირზაშვილი, გელა მანჯავიძე, მერაბ აბრამიშვილი, ირაკლი სუთიძე, გია გუგუშვილი, გია ბუღაძე, შალვა შატუაშვილი, ლევან ლაღიძე, ჯემალ კუხალაშვილი, გია იაშვილი და ირაკლი ფარჯიანი.

კალენდრის თავფურცელი გემოვნებით შესრულებული დიზაინით გვიზიდავს. წარმოდგენილ მხატვართა ნამუშევრებიდან შერჩეული სახასიათო დეტალები ქმნიან ერთგვარ კალეიდოსკოპს, რომელიც ფერადოვან სამყაროში მოგზაურობას გვპირდება.

კალენდრის სპონსორია ავსტრიული სამშენებლო ფირმა, „ABV“, რომლის გენერალური დირექტორი გახლავთ ლეოპოლდ ბაუსბეკი.

ვენაში გამოცემული კალენდრის შემდგენელ-ორგანიზატორთა შორის ნაცნობი გვარიც ამოვიკითხე — ნანა მარანელი, რომელიც გახლავთ საქართველოს კულტურის ფონდის აუქციონებისა და გამოფენების დირექტორი. დავუკავშირდით ქალბატონ ნანას და ვთხოვეთ ესაუბრა ვენაში დაბეჭდილი კატალოგის გარშემო.

— ბატონი ბაუსბეკი ქართველი ერის დიდი მეგობარია, — თქვა მან. — გარდა იმისა, რომ მისი ფირმა საქართველოში სანიმუშო არქიტექტურულ ნაგებობას გვიშენებს, იგი საქველმოქმედო საქმეების მოთავედ და სპონსორადაც გვევლინება. მან ორჯერ მოაწყო ქართველ მხატვართა გამოფენა ვენაში, 1988 წელს რუსუდან ფეტვიაშვილის, ზურაბ ნიჟარაძის, თენგიზ მირზაშვილის და ედმონდ კალანდაძის ერთობლივი, ხოლო წელს კი მანანა წივწივაძის პერსონალური გამოფენა.

ლეოპოლდ ბაუსბეკი საფუძვლიანად იცნობს ქართულ მხატვრობას, განსაკუთრებით მოსწონს ე. წ. 80-იანელთა თაობა და სურს უფრო ახლოს გააცნოს იგი მსოფლიოს. მან წელს გამოთქვა სურვილი, რომ გააკეთებდა კალენდარს 1991 წლისათვის. ჩვენ ეს შესაძლებლობა ხელიდან არ გავუშვით, მართალია, დრო ძალიან ცოტა გვქონდა, მაგრამ ოპერატიულად გავაკეთეთ 12 მხატვრის ნამუშევართა სლაიდები, მხატვრებს ჩამოვართვი თავიანთი კონცეფცია, ბიოგრაფიული ცნობები, ფოტოები და ვენაში გავემგზავრე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სლაიდები თბილისში დამზადდა ხელოვნების ძეგლთა ფიქსაციის ექსპერიმენტულ ლაბორატორიაში და მაღალი ხარისხით გამოირჩეოდა.

ვენის ცენტრში გახსნილია ქართული სალონი, რომელიც „ABV“-ს ფირმას ეკუთვნის. აქ ვენელები და ქალაქის სტუმრები გადაბიჯებენ თუ არა სალონის ზღურბლს, ქართულ სამყაროში ხვდებიან. ისმის ქართული ხალხური სიმღერა, კედლებზეა ქართული ფერწერა და გობელენი, გამოფენილია ქართული კერამიკა. ფრაუ ილზე — ამ სალონის დიასახლისი, კეთილი ღიმილით ხვდება მომსვლელთ, უფასოდ სთავაზობს მათ ფინჯან ყავას და შეძლებისდაგვარად უხსნის მათ საქართველოს გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას, ესაუბრება მის ხელოვნებაზე, ცნობილ ადამიანებზე. ბატონ ბაუსბეკს ქართული სალონი არავითარ მოგებას არ აძლევს, მაგრამ იგი ასე გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ქართველი ერისადმი, —ეს უძველესი, უნიკალური ისტორიის და ხელოვნების ქვეყანა ღირსია მთელმა მსოფლიომ გაიცნოსო. ბატონი ბაუსბეკი აფინანსებს აგრეთვე ხუთ ქართველ სპეციალისტს, რომლებიც 10 თვით ვენაში მენეჯერობას და მარკეტინგს სწავლობენ.

ეს 1991 წლის კალენდარი ლეოპოლდ ბაუსბეკმა 200 ეგზემპლარი ჩამოიტანა და საშობაოდ აჩუქა თბილისს, სულ კი 500 ცალი დაიბეჭდა. ასი კალენდარი გაეგზავნა მსოფლიოში ცნობილ მუზეუმებს — გუგენჰაუმს, ლუვრს, ასევე კომერციულ გალერეებს და საქველმოქმედო ფონდებს —როკფელერისას, სორისისას, რაც ქართული მხატვრობის პოპულარიზაციას უთუოდ შეუწყობს ხელს, შესაძლოა ოდესმე ეს მუზეუმები დაინტერესდნენ ჩვენი მხატვრებით. ფირმა „ABV“-ს მთელ მსოფლიოში აქვს თავისი ოფისები და კომპანიები, ისე რომ, ქართული კალენდრით 1991 წელს მთელ მსოფლიოში ისარგებლებენ, მაგრამ მას მარტო უტილიტარული ფუნქცია როდი ექნება, იგი უმალ ჩვენს ფერწერას გაუწევს პროპაგანდას...



ბატონ ბაუსბეკს თურმე განზრახული აქვს 1992 წლის კალენდარიც დააფინანსოს, მასში შევა ფიროსმანის 12 რეპროდუქცია.

ადრინდელ წერილში, რომელიც ქართველ მხატვართა ბარსელონაში მოწყობილ გამოფენას ეხებოდა, ვწერდი, რომ საშური საქმეა ქართული მხატვრობის გაცნობა საზღვარგარეთ, რადგან იქ ჩვენს შესახებ ძალიან ცოტა რამ იციან, ოღონდ საჭიროა განსაკუთრებული რეკლამით გასვლა— ჩვეულებრივი რეკლამა როდი კმარა, საჭიროა საუკეთესო კატალოგები, ალბომები, სხვაგვარად გაჭირდება-თქო ჩვენი ხელოვნების ნამდვილი ღირებულების წარმოჩენა.

და აგერ, სასიამოვნო საახალწლო სიურპრიზი ვენიდან, რომელიც ქართულ ფერწერას ღირსეულ სამსახურს გაუწევს.

**გიორგი ლალიაშვილი.**

**სურათზე:** ვენაში გამოცემული კალენდრის თავფურცელი.

## ფოტორეპორტაჟი







# ბოლო დღეს

**რედაქციაში** დავალება მომცეს, თუ კაცი ხარ წლის ბოლო დღეების რაიმე ორიგინალური მოგვიტანეო. უარს ძველ „ხელმძღვანელ ამხანაგებს“ არ ვეუბნებოდი და ახლა მით უმეტეს დავთანხმდი. რამდენჯერმე ტყუილად ვიჯექი როდენის „მოაზროვნის“ პოზაში — იქნებ რაიმე ორიგინალური მოვიფიქრო მეთქი. თქვენც არ მომიკვდეთ, ეს დღეები ისე შემომადნა ხელებში, რომ დავრჩით რედაქცია, მე და ჩემი ოჯახი წლის ბოლო დღის იმედზე...

თითქოს ჯიბრზე, საბურავი დაშვებული დამხვდა. მისი შეკეთება და შუადღე მოახლოვდა, მე კიდევ სახლში პურიც არ მქონდა.. თან ხვალ ახალი წელია... ოჯახური დავალებების ისეთი სია მომაჩეჩეს, მე მგონი მომავალ ახალწლამდე ვერ შევასრულებდი... ბოლოს გადავწყვიტე რედაქციის და ოჯახის დავალება გამეერთიანებინა და...

...„პურის სახლში — რიგი დამხვდა იცოცხლეთ, მაგრამ... ყველას გვინდა ისეთი გემრიელი პური გვქონდეს, განსაკუთრებით ახალ წელს, როგორსაც თავისი საქმის ოსტატები გივი სეფისკვერაძე და ჩემი სეხნია ბადრი გელაშვილი აცხობენ... ფილარმონიის წინ ყურძენი, მანდარინი და ნაძვის ხე იყიდებოდა...

მარშრუტის ბოლო წერტილი ყველაზე შიშისმომგვრელი, მაგრამ აუცილებელი გახლდათ... ცენტრალური საკოლმეურნეო ბაზარი, რომელსაც ყველა „დეზერტირების“ ბაზარს ვეძახით. „იბერიის“ სტადიონიდან ბაზრამდე მისვლას ნახევარი საათი მოვუნდი... წინა დღეს, ბაზრის ისეთი ფასები მითხრეს მეზობლებმა, რომ ჩემი ხელფასისა და ჰონორარის პატრონი საბჭოთა ტურისტის ან ინტრიგანი რეპორტიორის როლში თუ გამოვდგებოდი... რაც მე იქ ვნახე... რა გინდა ინატრეთ... არა, არც მთლად ასე, მართალია ხიზილალა და ზუთხი არ იყო... მაგრამ რაც ჩვენს მადლიან მიწაზე მოდის თუ იზრდება... არა ძმაო საქართველოს შიმშილი არ ემუქრება, თუ კაცს მუშაობა არ ეზარება და მიწა გიყვარს... ფასებიც... რას იზამ ახალწელს ყოველთვის ყველაფერი ძვირი იყო და იქნება... ყოველ შემთხვევაში მთლად ისე არა, მაგრამ გოგია უიშვილზე ბევრად ნაკლები სუფრა არ მექნება...

თუ როგორ შევასრულე რედაქციისა, და ოჯახის დავალება თქვენ და ჩემმა სტუმრებმა იცით...

**ბადრი ვადაჭკორია**

## სპორტი

### 10 საუკეთესო სპორტსმენი

1. დავით გობეჯიშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), 2. ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა), 3. ლერი ხაბელოვი (თავისუფალი ჭიდაობა), 4. ლელა მესხი (ჩოგბურთი), 5. ნატო ნასარიძე (მშვილდოსნობა), 6. ამირან ტოტიკაშვილი (ძიუდო), 7. თემურ ქეცბაია (ფეხბურთი), 8. მალხაზ ბერუაშვილი (სამბო), 9. ხათუნა კორკელია (წყალთხილამურები), 10. გიორგი გაჩეჩილაძე (ქართული ჭიდაობა).

### საუკეთესო გუნდები

„აია“ (რაგბი, ქუთაისი), „იბერია“ (ფეხბურთი, თბილისი), საქართველოს ნაკრები ძიუდოში.

### საუკეთესო მწვრთნელები

თეიმურაზ კაკულია (ჩოგბურთი), ვახტანგ სალუქვაძე (ტყვიის სროლა), გურამ სალარაძე (თავისუფალი ჭიდაობა), დათო ყიფიანი (ფეხბურთი), შოთა ხაბარელი (ძიუდო).

## იუმორი?

**ქართლოს კასრაძე**

# როგორ „შამამეყარა ყივჩაღი“ და როგორ აღარ წავიდა...

შამამეყარა ყივჩაღი, გიორგევსკისა გზისასა
წიგნი დახია ფიცისა, ირაკლის ტრაქტატისასა,
პური მთხოვა და ვაჭმიე, ვურჩევდი თავთუხისასა,
ღვინო მთხოვა და დალია, ვურჩიე წინანდლისასა,
ჩაი მთხოვა და მივართვი, ვურჩიე ლანჩხუთისასა,
წყალი მთხოვა და ვასმიე, ვურჩიე „ბორჯომისასა“,
წვენი მთხოვა და ვაგემე, ვასწავლე ლაღიძისასა,
ციტრუსი მთხოვა გაზიდა, ვურჩევდი სოხუმისასა,
სოჭი მთხოვა და წამგლიჯა ნაპირით ბიჭვინთისასა,
გაზიდა „მარგანეცები“ — „ოქრო“ შავისა კლდისასა!
შამამასია ხიზნები მამულსა მაჩაბლისასა,
გაათხრევინა გვირაბი კლდეებში კავკასისასა,
არ გაიყვანა ჯარები, ხიშტიან რუსებისასა,
დაიპყრო „ვლადიკავკაზი“ ჩრდილო-ოსეთის“ მხრისასა,
რუსულად ალაპარაკა შვილები ნართებისასა,
ტონობით ოქრო „იჩუქა“ ქართულის ცეკვებისასა,
„ქართული ფილმის“ ვალუტა წაიღო მოსკოვისასა,
ავღანისტანში ჩახოცა ბიჭები ალგეთისასა,
თავისი პური ჩაულპა მიწასა „ცელინისასა“,
მოწამლა მთელი ევროპა მიწებით ჩერნობლისასა.
ხელშეკრულება დაწერა წასაგებ-მომგებიანი,
„მახე თავ-გასაყოფელი“ ცა დაგვიბნელეს მზიანი,
„— მომეცი ხაჭაპურიო, წილი „უფროსის“ ძმისასა,
მე მოგიტეხავ პაწასო, ქვეყანას სამოთხისასა“.
სამოცდაათ წელს მატყუა, შენობამ ქვიშებისასა
ვერც „კომუნიზმი“ ვიხილე ნაქები ლენინისასა,
უკრაინა და მოლდავა სხვას აღარ აძლევს მიწასა...
ანდა ახლიდან დავიდგათ უღელი ყივჩაღისასა?
იარებოდა რაისა, ათას ქურქ-კაბებიანი,
ჩემს ქმარს ელცინი შეჰყრია, აბალკინზედაც ჭკვიანი,
არ გადის „ხელშეკრულება“ „ცენტრის“ და ქვეყნებისასა,
მომადგა შიმშილობაი, ჩემის „უფროსის ძმისასა“...
ყველი მთხოვა და ვერ მავეც, მიმქონდა ობლებისასა,
ტალონებს როგორ გავცემდი, ლუკმაპურს ბავშვებისასა,
„ხელშეკრულება“ დავდოთო, ახალის მონობისასა,
მეც გულმა ველარ გამიძლო, ვენდე მადლს „ლაშრის ჯვრისასა“,
გავჭერი ცხენი და კაცი საზღვარზე კავკასისასა, —
არ იყო ღირსი, მოშორდა მზერას დამშეულ მხრისასა...
აქეთ მე ვკვდები, იქით ის — ლიტვა წავიდა სხვისასა!



## ტელევიზია

### თბილისი

**სამშაბათი, 1 იანვარი**

**პირველი პროგრამა.** 10.05 — ხალხური შემოქმედება. საახალწლო კონცერტი. 10.35 — მოსწავლეთა საშობაო არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი. ქართული მხატვრული ფილმი „ცისკარა“. 11.50 — მოსწავლეთათვის. კონცერტი „აბა, დელია!“. 12.50 — „კინოს მოყვარულთათვის“. 14.40 — საახალწლო კონცერტი. 15.30 — „გლობუსი“. 16.30 — ახალგაზრდობისათვის. „ვაცილებთ გაუზვიადებლად“. 17.40 — საახალწლო თეატრალური კალეიდოსკოპი „რეტრო“. 19.15 — „შეხვედრა კერიასთან“. 20.00 — მოამბე. 20.35 — ზღაპრის გუდა. 21.00 — „ვრემია“. 21.45 — გასართობი პროგრამა „გეპატიჟებათ ორი ჯუჯა“. 23.25 — „იტალია-90“. გადაცემა მეოთხე (გამეორება).

**მეორე პროგრამა.** 21.00 — 24.00 — საქართველოს კომერციული ტელევიზიის პროგრამა (საცდელი გადაცემები).

**ოთხშაბათი, 2 იანვარი**

**პირველი პროგრამა.** 11.55 — მოსწავლეთა საშობაო არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა“. მულტიპლიკაციური ფილმი „ თოვლის დედოფალი“. 13.00 — ნაშუადღევს. 16.00 — საინფორმაციო გამოშვება. 16.10 — საერთაშორისო დღიური (გამეორება). 17.10 — „კინომოზაიკა“. 18.00 — ხალხური შემოქმედება. „დუდუკის საღამო“. 18.30 — ქართული მხატვრული ფილმი „სიყვარული ყველას უნდა“. 20.00 — მოამბე. 20.35 — ხალხური შემოქმედება. 21.00 — „ვრემია“. 21.45 — „მრავალჟამიერ“. 23.15 — ქრონიკა. 23.30 — საესტრადო-გასართობი პროგრამა „საახალწლო“.

**მეორე პროგრამა.** 14.05 — სატელევიზიო დადგმა „ვარშაველი მელოდია“. 16.00 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „თქმულება ფოცხვერზე“ 16.55 — მხატვრული ფილმი „შლაპა“ (ქართულ ენაზე). 18.20 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ქართული კერამიკა“. 18.50 — მხატვრული ფილმი „საკარნავალო ღამე“. 20.00 — მოამბე. 20.35 — მხატვრული ფილმი „უცნაური მოულოდნელობა“.

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26;
წერილების რედაქცია 99-73-24.
იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ. № 29.
ინდექსი 66484.

საქართველოს რესპუბლიკა